



17 დეკემბერი, 2024 წელი

ბრძანება N01-02/215

„ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის N01-02/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/07 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-02/266 ბრძანების, „საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №01-02/238 ბრძანების, „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საევაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის N01-10/18 ბრძანების, „ბსუ-ში სახანძრო უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აგვისტოს №01-10/95 ბრძანებისა და ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2024 წლის 09 სექტემბრის №1141388 და 28 ნოემბრის N1529496 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის N01-02/29 ბრძანების დანართი N2-ში - „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის ინსტრუქტაჟი“ შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი N1).
2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის N01-02/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის № 01-02/215 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის N01-02/29 ბრძანების დანართი N2 - ახალი რედაქცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის ინსტრუქტაჟები

ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი (შემდეგში „ინსტრუქტაჟი“ შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და სახანძრო უსაფრთხოების სფეროსი მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.
- ინსტრუქცია ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს და მიზნად ისახავს ბსუ-ის პერსონალისთვის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასამტატო პოზიციებზე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები), სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და ვიზიტორებისთვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებასა და ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი ქცევების გამომუშავებას.
- წინამდებარე ინსტრუქტაჟი ვრცელდება ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შემდეგ შენობა-ნაგებობებზე:
 - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35-ში (ს/კ 05.23.03.004) მდებარე №1 კორპუსი, №2 კორპუსი და №3 კორპუსი;
 - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში (ს/კ 05.24.05.084) მდებარე N4 კორპუსი;
 - ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში (ს/კ 05.30.26.027) მდებარე №5 კორპუსი;
 - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში (ს/კ 05.25.12.026) მდებარე №6 კორპუსი და №7 კორპუსი;
 - ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N26-ში (ს/კ 20.42.11.522; 20.42.11.521) მდებარე №8 კორპუსი;
- ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლად დანიშნული პირი (უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი).

მუხლი 2. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების მდებარეობა და დახასიათება

- ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35-ში (ს/კ 05.23.03.004) მდებარე:
 - №1 კორპუსი, სართულების რაოდენობა: სამი, შენობაში - განთავსებულია აუდიტორიები, ბსუ-ს ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია/დეკანის ოფისი, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, საერთო სივრცეები, კომპიუტერული კლასები და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ოთხი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობის მე-2 სართულზე

მოწყობილია II კორპუსში გადასასვლელი, რომელიც აღჭურვილია პანდუსით და პირველი და მეორე სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე შემოსასვლელად ნინოშვილის ქუჩის მხრიდან მოწყობილია ჭიშკარი;

ბ) №2 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ხუთი (სარდაფით და სხვენის სართულით), შენობაში განთავსებულია აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, ფაკულტეტების ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, სპორტული დარბაზი და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი სამი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით; გარდა ზემოაღნიშნული კორპუსებისა, განთავსებულია დამხმარე ნაგებობა - (დაცვის ჯიხური). ტერიტორიაზე შემოსასვლელად რუსთაველის ქუჩის მხრიდან მოწყობილია ჭიშკარი;

გ) №3 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ოთხი, შენობაში განთავსებულია ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, სტომატოლოგიური კლინიკა „ბსუ დენტი“, ფსიქოლოგიის კლინიკა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი) და ცეცხლმაქრეებით. ტერიტორიაზე, გარდა ზემოაღნიშნული კორპუსებისა, განთავსებულია ღია სპორტული მოედანი;

2. **ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში (ს/კ 05.24.05.084) მდებარე №4 კორპუსი, სართულების რაოდენობა:** ოთხი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საინჟინრო მიმართულების სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, ფაბლაბი, საგამოცდო ცენტრი, სტამბის მანქანა- დანადგარების განთავსების ოთახი). შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით (ცეცხლმაქრეებით), საევაკუაციო გეგმებით, ადრეული გაფრთხილების სისტემით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა კორპუსებისა, განთავსებულია საქვაბე.

3. **ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში (ს/კ 05.30.26.027) მდებარე:** №5 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ორი, შენობაში განთავსებულია ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები; ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების ადმინისტრაცია და აუდიტორიები. შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი სამი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს

ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა ორსართულიანი კორპუსისა მდებარეობს ტექნიკის კონსტრუირების, დამზადების და გამოცდის უბნის ერთსართულიანი შენობა, საქვაბე და სათბური.

4. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში (ს/კ 05.25.12.026) მდებარე:

ა) №6 კორპუსი, სართულების რაოდენობა: სამი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციის ოფისი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ტექნოპარკი შენობა აგებულია რკინაბეტონის კარკასით, კედლები მოწყობილია იზო-თერმული ბლოკით, ტიხრები მოწყობილია ბეტონის ფილებით ქვაბამბის იზოლაციით, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ბ) №7 კორპუსი - სართულების რაოდენობა: ოთხი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი. შენობა აგებულია რკინაბეტონის კარკასით, კედლები და ტიხრები მოწყობილია სენდვიჩ-ცემენტის ბლოკებით, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსები აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა სასწავლო კორპუსისა და სტუდენტთა საცხოვრებლისა განთავსებულია საქვაბე.

5. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N26-ში (ს/კ 20.42.11.522; 20.42.11.521) მდებარე №8 კორპუსი - სართულების რაოდენობა: სამი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები. შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონის კარკასზე, კედლები ამოყვანილია სენდვიჩ-ცემენტის ფილებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და ლიფტი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა ინსტიტუსის შენობისა მდებარეობს ერთსართულიანი საყარაულო ჯიხური, დამხმარე ნაგებობა და საწყობი, მისასვლელი გზა და შენობის წინ მდებარე მოედანი მობეტონებულია და კეთილმოწყობილია, ირგვლივ გაშენებულია სამკურნალო მცენარეების ბაღი.

მუხლი 3. ცეცხლის კლასების სახეები და მათ ჩასაქრობად გამოსაყენებელი მასალები

1. ცეცხლის გაჩენის გამომწვევი მიზეზის მიხედვით არსებობს ცეცხლის სხვადასხვა სახე (კლასი):
 - ა) **A კლასი** - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი მყარი მასალებისგან, როგორცაა: ხე, ქაღალდი, მუყაო, თივა, პლასტიკატი, ქსოვილები და სხვ;
 - ბ) **B კლასი** - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ცეცხლსაშიში აალებადი და ფეთქებადი თხევადი მასალებისგან, როგორცაა: ბენზინი, ნავთი, ნავთობი, საღებავები და სხვა ორგანული გამხსნელები;
 - გ) **C კლასი** - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ცეცხლსაშიში აირებისგან, როგორცაა: წყალბადი, მეთანი, პროპანი, ბუტანი, აცეტილენი, პროპილენი და სხვა ;
 - დ) **D კლასი** - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ცეცხლსაშიში ლითონისაგან, როგორცაა: წყალთან, გაზთან და/ან სხვა ქიმიკატთან მყისიერად მოქმედი მაგნიუმი, ტიტანი, კალიუმი და ნატრიუმი;
 - ე) **E კლასი** - ცეცხლი, რომლის მიზეზია ელექტროდანადგარი. ასეთი ხანძრის შემთხვევაში მის ჩასაქრობად გამოიყენე მხოლოდ მშრალი ცეცხლმაქრი, შესაბამისი კლასის დაშვებით (იხ.ცეცხლმაქრის წარწერა) და არასოდეს გამოიყენო წყალი;
 - ვ) **F კლასი** - სამზარეულოს/საკვები ზეთებიდან წარმოშობილი ხანძარი.

ცეცხლმაქრების სახეები და მათი გამოყენების დასაშვებობა სხვადასხვა კლასის ხანძრის დროს

ხანძრის კლასები						
	წყალი	მშრალი ფხვნილი	ქაფი	CO2	სველი ქიმიკატი	სპეც. ფხვნილი
ნახშირბადოვანი მასლა	✓	✓	✓	✗	✓	✗
ადვილალუბადი სითხეები	✗	✓	✓	✓	✗	✗
ადვილალუბადი აირები	✗	✓	✗	✗	✗	✗
ადვილალუბადი ლითონები	✗	✗	✗	✗	✗	✓
ელექტრომწიკობილი ობეი	✗	✓	✗	✓	✗	✗
საკვები ზეთები	✗	✗	✗	✗	✓	✗

მუხლი 4. ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესი

1. ბსუ-ში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნი ტემპერატურის აწევის და ა.შ) აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო (სწავლება, სწავლა), დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (თუ თავად არის ამ სამსახურში დასაქმებული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) და სახანძრო სამაშველო სამსახურს ტელეფონის მეშვეობით ნომერზე „112“ შეატყობინოს ხანძრის შესახებ;

ბ) რეაგირების ძალების ინციდენტის ადგილზე მოსვლამდე თუ თქვენ იცით ცეცხლმაქრით სარგებლობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენეთ იგი და შეძლებისდაგვარად მიიღეთ შესაბამისი ზომები ადამიანების ევაკუაციისათვის და მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ასევე გარემოს ან/და ქონების გადასარჩენად;

გ) ხანძრის აღმოჩენისთანავე/განგაშის სიგნალის გაგონებისთანავე გამორთოს მასზე განპიროვნებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები, მიხუროს ოთახების კაბინეტების და აუდიტორიების ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას და პანიკის გარეშე გაემართოს ცეცხლის საპირისპირო მიმართულებით და ყოველ სართულზე გამოკრული ევაკუაციის გეგმის მიხედვით, სადაც მწვანე ფერის ისრებით არნიშნულია საევაკუაციო გზა, დატოვოს შენობა და შეიკრიბოს საევაკუაციო პუნქტზე, რომელიც მითითებულია შესაბამის საევაკუაციო გეგმაზე.

დ) საევაკუაციო პუნქტზე შეკრებილები ადგენენ პირებს, რომლებსაც არ დაუტოვებიათ შენობა და ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენლის - დაცვის მორიგე თანამშრომელის მეშვეობით აწვდიან ამ ინფორმაციას საგანგებო შტაბს. მაგალითისთვის წარმოდგენილია საერთო საცხოვრებლის მე-4 სართულის საევაკუაციო გეგმა:

სამკვლევარო გეგმა
IV სართული

მისამართი: ბათუმი, ლეონიძის ქ. N-15

Evacuation Plan
4th Floor

Address: Batumi, Leonidze St. N-15

თქვენ იმყოფებით აქ
(You are here)

-  თქვენ იმყოფებით აქ (You Are Here)
-  მთავარი ევაკუაციის რუტა (Main Route To Exit)
-  მეორეული ევაკუაციის რუტა (Secondary To Exit)
-  ევაკუაციის სიმალი (Evacuation Stairs)
-  ხანძარი ღილაკი (Fire Button)
-  ხანძარი წაქეცი (Fire Extinguisher)
-  ხანძარი მიწვენი (Fire Hose Reel)
-  შეკრების წერტილი (Assembly Point)

ხანძრის შემთხვევაში

In case of fire:


- ევაკუაციის რუტის მიხედვით (Evacuate according to plan)
- დაუყოფნით 112-ზე და შეატყობინეთ ხანძრის შესახებ (Call 112 and inform about fire)
- ევაკუაციის რუტის მიხედვით (Follow green signs)



სამკვლევარო გეგმა
IV სართული



სამკვლევარო გეგმა
IV სართული



მუხლი 5. ხანძრის ჩაქრობა

1. ხანძრის ჩაქრობის აუცილებელი პირობაა მოშორდეს ხანძრის ადგილიდან შემდეგი სამი ელემენტი:


- ა) ყველა ადვილად აალებადი და ფეთქებად საშიში მასალა (საწვავი);
- ბ) ჟანგბადი (ყველა უსაფრთხოების წესის დაცვით);
- გ) მაღალი ტემპერატურა (გაითიშოს ელექტროენერგია).



მუხლი 6. ცეცხლმაქრის გამოყენების წესი

1. „ბსუ“ პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები და ვიზიტორები ცეცხლმაქრის გამოყენებისას ვალდებული არიან ცეცხლმაქრის გამოყენებისას დაიცვან და გაითვალისწინონ შემდეგი პირობები:

- ა) ცეცხლმაქრი დაიკავონ სახელურით და შემლებისდაგვარად მიუახლოვოს ცეცხლს. მუდმივად დაიცვან დისტანცია და დარწმუნებული იყოს, რომ საევაკუაციო გასასვლელი ცეცხლთან ახლოს არ არის. ცეცხლს მიუახლოვდნენ ქარის მიმართულების მხრიდან;
- ბ) მოხსნან უსაფრთხოების რგოლი;
- გ) ცალი ხელით სახელურით დაიჭირონ ცეცხლმაქრი, მეორე ხელით დაიჭირონ შლანგი და მიმართოს ცეცხლის მიმართულებით;
- დ) შლანგი დაუმიზნონ ცეცხლის ძირს და მიუშვას ჰორიზონტალურად და ამოძრავოს აქეთ-იქეთ;
- ე) ცეცხლის ყველა ჩამქრობი პირი უნდა იდგეს და ცეცხლს აქრობდეს ერთი მხრიდან;
- ვ) ცეცხლმაქრის ბოლომდე დაცლის შემდეგ გაემზადოს მეორის ასაღებად;
- ზ) ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ ცეცხლის გაღვივების თავიდან ასაცილებლად კარგად დაათვალიერონ ნაცარი;




1

მოხსენით უსაფრთხოების რგოლი



2

დაუმიზნეთ ცეცხლის ძირს



დააწევი

3

დააჭირეთ ზერკეტს




4

ამობრავეთ აქეთ-იქეთ


არასწორია

სწორია



-  დადექით ქარის მიმართულებით
-  ცეცხლმაქრი ცეცხლის კერას დაუმიზნე
-  ყოველთვის დაიტოვე უკან დასახევი გზა
-  ჩაქრობა დაიწყე წინიდან და მიყევი უკან
-  ჩაუქრობელი ცეცხლი არ დატოვოთ
-  გამოყენების შემდეგ შეავსეთ ცეცხლმაქრი და ისე განათავსეთ მის ადგილას


მუხლი 7. სახანძრო ონკანის გამოყენების წესი



- ა) გახსენით სახანძრო კარადა გასაღებით, რომელიც მოთავსებულია კარადის კარზე დამცავი შუშის უკან;
- ბ) 90 გრადუსით შემოვაბრუნოთ კასეტა, რომელშიც მოთავსებულია სახანძრო სახელო (შლანგი) მასზე დამაგრებული ლულით და ამოიღეთ იგი კასეტიდან;

გ) გაშალეთ სახანძრო სახელო: ხელი მოკიდეთ გარე ხვეულს და გაისროლეთ (გადააგორეთ) ცეცხლის მიმართულებით და დარწმუნდით რომ სახელო არ არის გადახვეული/გადაკეცილი;

დ) ზოგიერთი ტიპის სახანძრო კარადა არჭურვილია დოლურაზე დახვეული სახანძრო სახელოთ, ამ შემთხვევაში დოლურას დატრიალებით და სახელოს გამოქაჩვით ხდება სახელოს გაშლა);



ე) დარწმუნდით, რომ გათიშულია ელექტროენერგია და სახელო მიერთებულია ონკანზე;

ვ) ლულა მიუშვირეთ ცეცხლის ძირს (კერას) და მიეცით სიგნალი ონკანის გასახსნელად;

ზ). ლულა ამოძრავეთ აქეთ-იქეთ;



მუხლი 8. ხანძრით გამოწვეული დაზიანება

1. ხანძრით გამოწვეული დაზიანებაა:

ა) პირდაპირი დაზიანება (პერსონალის, ან საკუთრების);

ბ) არაპირდაპირი დაზიანება (გამოწვეული სტრუქტურის დარღვევით, აფეთქებით, ქიმიური და ფიზიკური თვისებების შეცვლით).

2. ხანძრით გამოწვეული ზიანი შეიძლება იყოს:

ა) პირდაპირი (პერსონალის გაგუდვა და/ან მოწამვლა, სხვადასხვა ზედაპირების დაზიანება და კოროზია);

ბ) ირიბი (საევაკუაციო გასასვლელების ხილვადობის გაუარესება/ჩახერგვა);

3. ხანძარი შეიძლება გახდეს დაზიანების მიზეზი - ჰაერში ჟანგბადის გაიშვიათების, ან/და ხანძარ საშიში მასალების დაწვისას გამოყოფილი ტოქსიკური კვამლის გამო.

4. პროდუქტის წვის დროს გამოყოფილი აირებით მოწამლვა არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც იწვევს სიკვდილის ყველაზე მეტ შემთხვევას ხანძრის დროს.

მუხლი 9. ბსუ-ს პერსონალის ვალდებულება

1. ბსუ-ს პერსონალის ვალდებულება:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთოს პერსონალური კომპიუტერი ან/და სხვა ელექტროხელსაწყოები;

გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ ოთახის დაკეტვის წინ ჩაატაროს დათვალიერება, გამორთოს ელექტროხელსაწყოები და განათება;

დ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი და წვადი სითხეების და აირების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;

ე) იცოდეს ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები;

ვ) იცოდეს ცეცხლმაქრებით სარგებლობის ხერხები;

ზ) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები.

2. ბსუ-ს პერსონალს ეკრძალებათ:

ა) სათავსებში ადვილად აალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;

ბ) თამბაქოს მოწევა ბსუ-ს ტერიტორიაზე (გარდა ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა);

გ) ბსუ-ს შენობაში და ტერიტორიაზე ქაღალდების ან სხვა ადვილად აალებადი ნივთიერებების ღია მდგომარეობაში დაყრა;

დ) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრო ინსტრუმენტების გამოყენება;

ე) ქსელში ჩართული ელექტრო ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება.

მუხლი 10. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება

1. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილები უზრუნველყავი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრი, ყუთი ქვიშითა და ნიჩბით, ვედრო წყლით).

გ) ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელზეც გათვალისწინებულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, მოიყვანე ფეთქებადხანძარუსაფრთხო მდგომარეობაში.

დ) სათავსები, სადაც შესაძლებელია ადვილად აალებადი და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი აირების ორთქლის დაგროვება, გაანიავე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებამდე.

ე) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებამდე და ჩატარების დროს ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და სახიფათო ზონაში აკონტროლე ორთქლაირის გარემოს მდგომარეობა. დაუყოვნებლივ შეაჩერე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები წვადი ნივთიერებების შემცველობის მომატების შემთხვევაში ან ფლეგმატიზატორის (წვადი ნივთიერების დანამატი, რომელიც ამცირებს მის მგრძნობელობას) კონცენტრაციის დაწევისას ორთქლის (აირი) ზღვრულად დასაშვებ ფეთქებადსაშიში კონცენტრაციების მნიშვნელობამდე.

ვ) აკრძალულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობის ელემენტებზე, რომლებიც შესრულებულია წვადი მათბუნებლებიანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისაგან.

2. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები აირსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) გადასატანი აცეტილენის გენერატორები განთავსდეს ღია მოედნებზე, სადაც უნდა გამოიკრას პლაკატები „ცეცხლსაშიშია“, „თამბაქოს მოწევა აკრძალულია“, „ნუ გაივლით ცეცხლით“. აცეტილენის გენერატორები უნდა შემოიღობოს და განლაგდეს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების, აგრეთვე კომპრესორებით და ვენტილატორებით ჰაერმიმღები ადგილებიდან არანაკლებ 10 მ-ის მანძილზე.

გ) სამუშაოს დამთავრებისას გადასატანი გენერატორში კალციუმის კარბიდი უნდა იყოს გახარჯული. გენერატორიდან მოსაცილებელი კირქვის ლამი უნდა გადმოიტვირთოს ამ მიზნებისთვის განკუთვნილ ტარაში და ჩაისხას ლამის ორმოში ან სპეციალურ ბუნკერში. ლამის ღია ორმოები უნდა იყოს შემოღობილი მოაჯირებით, ხოლო დახურულ ორმოებს ჰქონდეს უწყვი გადახურვები, გამწოვი ვენტილაცია და ლამის მოსაცილებელი ლიუკები. აკრძალულია თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება ლამის შენახვის ადგილებიდან 10 მ-ის რადიუსში, რის თაობაზეც უნდა იყოს გამოკრული შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები.

დ) აირსადენი შლანგები უნდა იყოს დამაგრებული აპარატურის, სანთურების, საჭრელების და რედუქტორების შემაერთებელ ნიპელზე საიმედოდ, ცალულების (ე.წ. ხამუტი) გამოყენებით. წყლის ჩამკეტების ნიპელზე შლანგები მჭიდროდ უნდა ჩამოეცვას, მაგრამ არ უნდა დამაგრდეს.

ე) კალციუმის კარბიდი უნდა ინახებოდეს ბუნებრივი ვენტილაციის მქონე სათავსებში. დაუშვებელია კალციუმის კარბიდის შესანახი საწყობების განლაგება სარდაფებსა და დაბალ (შესაძლო დატბორვის) ადგილებში.

ვ) აცეტილენის დანადგარების სათავსებში, სადაც არ არის გათვალისწინებული კალციუმის კარბიდის შუალედური საწყობების მოწყობა, დასაშვებია არ აღემატეს 200 კგ კალციუმის კარბიდის ერთდროული შენახვა, ამასთან, ამ რაოდენობიდან ღია მდგომარეობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დოლი.

ზ) კალციუმისკარბიდიანი გახსნილი დოლები უნდა იყოს დაცული წყალგაუმტარი სახურავებით.

თ) ადგილებში, სადაც ინახება და იხსნება კალციუმისკარბიდიანი დოლები, აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმომქმნელი იარაღის გამოყენება.

ი) სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენე სპეცტანსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანი, დამცავი სათვალე, რესპირატორი) და იქონიე ისინი სუფთა და გამართულ მდგომარეობაში და შეინახე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

3. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას და კუთხსახეხი მანქანის გამოყენებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) სათავსების იატაკი, სადაც მოწყობილია მუდმივი ადგილები ელექტროსამშენობლო სამუშაოების ჩასატარებლად და კუთხსახეხი მანქანის გამოსაყენებლად, უნდა იყოს უწყვი მასალის. სათავსებში, სადაც წარმოებს დეტალების შედუღება წინასწარი გახურების გარეშე და კუთხსახეხი მანქანის გამოყენება, მოაწყვე ფენილი უწყვი მასალისგან და გამოირიცხე ნაპერწკლების და ნალვეთების წვად წედაპირებზე მოხვედრა.

გ) ელექტროსამშენობლო დანადგარი მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი სამშენობლო მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის სამშენობლო მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია უკუგამტარი.

დ) სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენე სპეცტანსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანი, დამცავი სათვალე, რესპირატორი) და იქონიე ისინი სუფთა და გამართულ მდგომარეობაში და შეინახე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამეცნიერო ლაბორატორიებისათვის

1. სამეცნიერო ლაბორატორიებში კვლევის დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.
2. ექსპერიმენტების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერიმენტის ხელმძღვანელს.
3. ადვილალეზადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში (საკნები).
4. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყვ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებადხანძარსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილალეზადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში.
5. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.
6. გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.
7. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილალეზად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიშ ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალებისაგან.
8. ადვილალეზადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია.
9. ხანძარსაშიშ სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიშ მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.
10. წითელი ფოსფორი უნდა ინახებოდეს მჭიდრო საცობის ან ხუფის მქონე მინის ან ლითონის ტარაში, წყალბადის ზეჟანგი (30%-იანი) - ლითონის კონტეინერში მოთავსებულ კორპისსაცობიან მუქი ფერის მინის ჭურჭელში. წითელი ფოსფორი და წყალბადის ზეჟანგი შეიძლება ინახებოდეს

ნეიტრალურ მარილებთან (კარბონატები, სულფიდები) ერთად დამჟანგველების, ლითონის ფხვნილებისა და ტუტელითონებისაგან განცალკევებით.

11. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.

12. აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.

13. სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს გაღობის უნარის მქონე ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნაღობის თავისუფალი დაღვრის შემზღუდავი საშუალებები (ქიმები, ზღურბლები).

მუხლი 12. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საწყობისათვის

1. ნივთიერებების და მასალების შენახვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ხანძარსაშიში ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (დაჟანგვა, თვითგახურება და აალების უნარი ტენის მოხვედრისას, ჰაერთან შეხებისას და ა.შ.) და მათი ჩაქრობათვის გამოყენებულ ცეცხლმაქრ ნივთიერებებთან თავსებადობის ნიშნები.

2. აკრძალულია ერთ სათავსში კაუჩუკთან ან ავტომობილის საბურავებთან ერთად რომელიმე სხვა მასალის და საქონლის შენახვა. ავზები წვადი აირებით, ტარა ადვილალეზადი და წვადი სითხეებით, აგრეთვე აეროზოლური შეფუთვები უნდა იყოს დაცული მზის სხივებისა და სხვა სითბური ზემოქმედებისგან.

3. საწყობებში ტარის გახსნასთან, საქონლის გამართულობის შემოწმებასა და წვრილმან შეკეთებასთან, პროდუქციის დაფასობასთან, ხანძარსაშიში სითხეების სამუშაო ნარევეების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს შენახვის ადგილებიდან იზოლირებულ სათავსებში.

4. დაუშვებელია საწყობების შიგნით აირის ქურებისა და ელექტრო-გამახურებელი ხელსაწყობის ექსპლუატაცია და შტეფსელის როზეტების დაყენება, აგრეთვე მორიგე განათების მოწყობა.

5. საწყობის ელექტრომოწყობილობა სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა გაუდენურდეს. ელექტრომომარაგების გასათიში აპარატები უნდა განთავსდეს საწყობის გარეთ უწვ კედელზე ან ცალკე მდგომ საყრდენზე.

6. საწყობის სათავსებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი სანათიდან წვად ნივთიერებებსა და მასალებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ.

7. ამიაკის გვარჯილა უნდა ინახებოდეს დამოუკიდებელ I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის, უსხვენო, უწვ იატაკიან, ერთსართულიან შენობებში ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მინერალური სასუქის I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის საერთო საწყობის ცალკეულ სახანძრო ნაკვეთურში. ძლიერმოქმედი დამჟანგველები (მაგნიუმის და კალციუმის ქლორატები, წყალბადის ზეჟანგი) უნდა ინახებოდეს I, II და III ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობების ცალკეულ ნაკვეთურებში.

მუხლი 13. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟების აღრიცხვა

1. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში“, ქვემოთ მოცემული ფორმით, იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი:

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის

ჟ უ რ ნ ა ლ ი

დაიწყო “ ___ ” _____ 202- წ.

დამთავრდა “ ___ ” _____ 202- წ.

თარიღი	პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	დაბადების წელი	ინსტრუქტაჟის სახეობა (საწყისი, განმეორებითი ან მიზნობრივი)	ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა	ხელმოწერა	
					პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი	ინსტრუქტორი
	2	3	4	5	6	7

ხანძრის შესახებ შეტყობინების მიღების და დაცვის მორიგე თანამშრომლის ქმედების წესის შესახებ

1. უნივერსიტეტის სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტის განთავსების ოთახში მორიგე დაცვის თანამშრომლის (შემდგომში მორიგე) პოზიციაზე დაიშვებიან მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეული, ქმედუნარიანი პირები.

2. ყველა მორიგე ვალდებულია:

- ა) გაეცნოს უნივერსიტეტში მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და ინსტრუქციებს და დაიცვას ისინი;
- ბ) არ დაუშვას სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტთან უცხო პირები;
- გ) დაიცვას ელექტრო და ხანძარუსაფრთხოების ნორმები;
- დ) მუდმივად ჰქონდეს მოწესრიგებული სამუშაო ადგილი;

3. ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში მორიგის ვალდებულებებია:

- ა) ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში მორიგემ უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და მიყვეს წინამდებარე ინსტრუქციას, კერძოდ:
- ბ) გამოაცხადოს სახანძრო განგაში ელექტრო ან ხელის მექანიკური ზარის მეშვეობით (თუ უკვე არ არის გამოცხადებული);
- გ) დარეკოს ნომერზე „112“ იმ შემთხვევაში თუ საფრთხის წყაროს ლიკვიდაციისთვის საჭიროა სახანძრო/სამაშველო სამსახურის ჩართულობა;
- დ) შეატყობინოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელსა და საგანგებო შტაბის უფროსს;
- ე) საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული სამაშველო ჯგუფის წევრების მოსვლამდე არსებული საშუალებებით დაიწყოს ხანძრის ლიკვიდაცია;
- ვ) საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული სამაშველო ჯგუფის მოსვლის შემდეგ ჩაერთოს უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების და სხვა პირების საევაკუაციო ღონისძიებებში - მორიგე დაცვის თანამშრომელი არის საევაკუაციო პუნქტზე ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი და ვალდებულია ევაკუირებულ პირებთან გასაუბრების მეშვეობით დაადგინოს ინფორმაცია შენობაში დარჩენილ პირების და მათ ადგილმდებარეობის შესახებ და მიაწოდოს ეს ინფორმაცია ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწეს.
- ზ) დაემორჩილოს საგანგებო შტაბის წევრების მითითებებს;
- თ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში;

ი) განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რომელიც მიმართულია ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიულის სტუდენტების, პერსონალის და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ.

4. სახანძრო ავტომატიკის გაუმართაობისას მორიგე დაცვის თანამშრომლის მოქმედების წესი:

ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის გაუმართაობისას მორიგე ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს დაწესებულების ხელმძღვანელს, საგანგებო შტაბის უფროსს და მოახსენოს აღნიშნულის შესახებ;

ბ) ავტომატიკის გაუმართაობის აღმოფხვრამდე, განსაკუთრებულ რეჟიმში ამოწმოს შენობა/შენობები.

გ) ხანძრის შემთხვევაში განგაშის სისტემის გაუმართაობისას, გამოიყენოს მექანიკური ზარი საგანგებო სიტუაციის შეტყობინება/მაუწყებლობისთვის.

5. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დასრულების შემდეგ სამუშაოს დასრულებისას, მორიგე ვალდებულია:

ა) გადააბაროს სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი მის შემცვლელ მორიგეს;

ბ) მიაწოდოს ადმინისტრაციას ინფორმაცია მის მორიგეობის პერიოდში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე;

გ) მოაწესრიგოს საკუთარი სამუშაო ადგილი/მაგიდა;

დ) გამორთოს ყველა ელექტრო მოწყობილობა და ინვენტარი, რომელიც მის მფლობელობაშია და არ სჭირდება მის შემცვლელ მორიგეს და გადააბაროს მორიგეობა;

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

მუხლი 1. გულ-ფილტვის რენიშაცია (გ.ფ.რ.)

1. დაშავებულის აღმოჩენის შემთხვევაში დარწმუნდი რომ საფრთხე არ გემუქრება, თუ არსებობს საფრთხე - გამოიყვანე იგი უსაფრთხო ადგილას. თუ დაშავებული უგონო მდგომარეობაშია და არ აღენიშნება სიცოცხლის ნიშნები (მოძრაობა, სუნთქვა, გულისცემა და ა.შ) განახორციელეთ შემდეგი ქმედება:

ა) დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112;

ბ) მოუხმეთ ხელოვნური სუნთქვის/პირველადი დახმარების აღმომჩენს;

გ) თუ პირველადი დახმარების აღმოჩენა თავად შეგიძლიათ, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, დაიწყეთ დაუყოვნებლივ გულის არაპირდაპირი მასაჟის (ხელოვნური სუნთქვის) გაკეთება დაზარალებულისთვის;

დ) ხელოვნური სუნთქვის დაწყებამდე გულაღმა დააწვინეთ ავადმყოფი მყარ და სწორ ზედაპირზე - იატაკზე ან მაგიდაზე. ეჭვი თუ გაქვთ კისრის მალეების დაზიანებაზე, არ შეიძლება დაზარალებულის თავის მოძრაობა;

ე) გაუთავისუფლეთ ავადმყოფს სასუნთქი გზები: შუბლზე ხელის ზეწოლით თავი უკან გადაუწიეთ, მეორე ხელით ფრთხილად წამოუწიეთ ნიკაპი; ხერხემლის ტრავმის დროს სასუნთქი გზების გახსნა ხდება თავის უკან გადაწევის გარეშე: მოათავსეთ ორივე ხელის ცერა თითები ავადმყოფის ნიკაპზე, ხოლო საჩვენებელი თითები ქვედა ყბის კუთხეებში და ქვედა ყბა წამოწიეთ წინ და მალლა მიმართულებით ამ ხერხით ჰაერი თავისუფლად და მეტი რაოდენობით შევა სასუნთქ გზებში;



ვ) შეამოწმეთ, სუნთქავს თუ არა დაზარალებული: დაიხარეთ მის პირთან, დააკვირდით მის გულმკერდის მოძრაობას, მოუსმინეთ სუნთქვას, შეიგრძენით ჰაერის ნაკადი ლოყაზე. სუნთქვის შემოწმებაზე უნდა დაიხარჯოს მხოლოდ 5 წამი;



ზ) თუ ავადმყოფი არ სუნთქავს, უნდა გააკეთოთ ორი საკონტროლო ჩაბერვა პირში; შუბლზე მოთავსებული ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით დაახშეთ ცხვირის ნესტოები. თუ სასუნთქი გზების გახსნა ხდება კისრის მალეების ტრავმის დროს ქვედაყბის წამოწევის გზით, ცხვირის ნესტოები დახურეთ თქვენი ლოყის ზეწოლით;



თ) შეისუნთქეთ ჰაერი, მჭიდროდ მოათავსეთ თქვენი ტუჩები ავადმყოფის ტუჩების ირგვლივ და ორჯერ ჩაბერეთ. თითოეული ჩაბერვის ხანგრძლივობა უნდა იყოს დაახლოებით 2 წამი, ჩაბერვებს შორის ინტერვალი კი - 4 წამი (ეს დრო საჭიროა, რომ ჰაერი დაზარალებულის

სასუნთქი გზებიდან გამოიდევნოს). დააკვირდით, მოძრაობს თუ არა ჩაბერვისას გულმკერდი.

ი) თუ გულმკერდის მოძრაობა არ შეინიშნება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სასუნთქ გზებში უცხო სხეულია, რომელიც ჰაერის ნაკადს არ ატარებს და, პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა ჩავატაროთ სასუნთქი გზების უცხო სხეულისაგან განმათავისუფლებელი მანევრი;

კ) შეუმოწმეთ დაზარალებულს პულსი კისრის გვერდით ზედაპირზე. თუ პულსი არის, განაგრძეთ 1 ჩაბერვა ყოველ 3 წამში. თან დააკვირდით გულმკერდის მოძრაობას. განაგრძეთ ხელოვნური სუნთქვა - 20 ჩაბერვა 1 წუთში, სანამ დაზარალებული სუნთქვას არ დაიწყებს;

ლ) თუ პუკსიც არ ისინჯება, 30/2 თანაფარდობით (ჩაატარეთ 30 ზეწოლა, გაათავისუფლეთ



სასუნთქი გზები და აწარმოეთ 2 ჩასუნთქვა) დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია (გ.ფ.რ):

მ) მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვლის ქვედა მესამედზე, დერილებს შორის შემართებული პორიზონტალური ხაზის შუა წერტილზე, მინიმუმ 100 ზეწოლა წუთში სიხშირით (1 ციკლი - 18 წამი);

ნ) ყოველი 5-6 ციკლი გ.ფ.რ.-ს შემდეგ შეამოწმეთ ცენტრალური პულსი (გ.ფ.რ. 30/2 თანაფარდობით გაგრძელდება 2 წთ);

ო) გულმკერდზე ყოველი ზეწოლის შემდეგ უნდა აღსდგეს გულმკერდის საწყისი მოცულობა;

პ) ჩაატარეთ ზეწოლა ისე, რომ გულმკერდი ჩაიზნიქოს 2-4 სმ-ზე. ქვევით და ზევით მოძრაობა უნდა იყოს გლუვი. დააწექით თქვენი სხეულის ზედა ნაწილის წონით და არა მკლავის კუნთებით. ამგვარად თქვენი სხეულის ზედა ნაწილის წონა შექმნის ძალას, რომელიც საჭიროა მკერდზე ზეწოლისათვის. არ იქანაოთ წინ და უკან. ქანაობა შეამცირებს ზეწოლის ეფექტურობას და დაგახარჯინებთ დიდ ენერგიას. თუ მალე დაიღალეთ, მაშინ თქვენ სწორად არ იყენებთ სხეულის პოზიციას;

ჟ) როდესაც ჩაატარებთ 30 ზეწოლას, გაათავისუფლეთ სასუნთქი გზები და აწარმოეთ 2 ჩასუნთქვა. ყოველი ჩასუნთქვა უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 1 წამი. ამ დროს უნდა მოხდეს გულმკერდის ამოდრეკა;

რ) საჭიროების შემთხვევაში გ.ფ.რ. განაგრძეთ სასწრაფო დახმარების მოსვლამდე;


ს) შეამოწმეთ პულსი და სუნთქვა ყოველ 2 წუთში. თუ ავადმყოფს ესინჯება პულსი და სუნთქვას, განაგრძეთ დაკვირვება და დაელოდეთ ექიმს.

მუხლი 2. ეპილევსიური გულყრა


პირველადი დახმარება ეპილევსიური გულყრის დროს

ეპილევსია ნევროლოგიური დაავადებაა და ხასიათდება პერიოდული შეტევით (გულყრით)

ნიშნები - კარგავს გონებას, ეცემა ძირს, სხეული დაჭიმულია და ემართება სპაზმი, პირიდან სდის ქაფი, ხშირად სისხლიანი, რაც გამოწვეულია ენის ჩაკვნილობით.




თავიკეფს ამოუდეთ ბალიში და მოხსენით სათვალე



შეუხსენით საყელო



გადააბრუნეთ გვერდზე და წუ შებოჭავთ მას



დააკვირდით რამდენ ხანს გრძელდება გულყრა



წუ ეცდებით შეკრული კრიკის გახსნას, ენის დაჭერას, წამლების გამოყენებას, შეფხიზლებას!



ავადმყოფი თავად გამოფხიზლდება, შესთავაზე მას დახმარება

- თუ გულყრა დაემართა ბავშვს, ორსულს, მოხუცს ან გვაქვს ტრამვა - დარეკეთ 112-ზე
- 112-ზე დარეკეთ ასევე თუ გულყრა 5 წუთზე მეტ ხანს გრძელდება

მუხლი 3. ელექტრო ტრამვა

1. ელექტრო ტრავმა ისეთი დაზიანებაა, რომელსაც ორგანიზმზე ელექტრული დენის ზემოქმედება იწვევს და ხშირად სიკვდილით სრულდება. ელექტროტრავმა შეიძლება მოჰყვეს დენის წყაროსთან უშუალო ან რკალურ კონტაქტს.

2. სხეულის ელექტროდენით დაზიანებას იწვევს, როგორც ცვლადი, ასევე მუდმივი დენი. მაღალი ძაბვის მუდმივი დენი, ჩვეულებრივ, იწვევს კუნთების ერთჯერად სპაზმს (შეკუმშვას) და დაზარალებულს აგდებს დენის წყაროდან მოშორებით, რაც ამცირებს ელექტრულ წყაროსთან კონტაქტის ხანგრძლივობას, მაგრამ ამავდროულად ზრდის დაზარალებულის გადასროლის შედეგად ტრამვის მიღების ალბათობას

3. ცვლადი დენი უფრო საშიშია ვიდრე მუდმივი.

4. ცვლადი დენი სამჯერ ან უფრო მეტჯერ სახიფათოა ვიდრე იმავე ძაბვის მუდმივი დენი, რადგან იწვევს კუნთების შეუწყვეტელ სპაზმს (კუნთის ქსოვილები წამში 40-110 ჯერ იკუმშება). დადგენილია, რომ 42 ვ ძაბვის შემთხვევაში საშიშია ცვლადი დენი (ნორმალურ პირობებში), ნესტიანში - 36 ვ, გვირაბებში, ორმოებში, შახტებში და მალაროებში კი - 12ვ.



5. მაღალი ძაბვით გამოწვეული ელექტროტრავმა უმეტესად სასიკვდილოა. ამ დროს სხეულზე მოქმედებს 2000-4000°C ტემპერატურა, რომელიც ძლიერ დამწვრობას იწვევს. კუნთების ძლიერი შეკუმშვა დაშავებულის დიდ მანილზე გადასროლისა და მოტეხილობების მიზეზად იქცევა.

დაზარალებული სწრაფად უნდა განთავისუფლდეს ძაბვის ზემოქმედებისაგან, რადგან ორგანიზმზე დენის მოქმედების ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული ელექტროტრავმის სიმძიმე.

6. თუ დაზარალებულს ხელებით უჭირავს სადენი, მისი თითები ისეთი სიძლიერითაა მომუშტული, რომ მათი გახსნა შეუძლებელია. გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება დაშავებულთან შეხება და მისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ვიდრე არ მოხდება მისი განთავისუფლება ძაბვის ზემოქმედებისაგან.

7. დახმარების აღმოჩენის უპირველესი ქმედებაა ელექტროდანადგარის იმ ნაწილის სწრაფი გამორთვა, რომელსაც ეხება დაზარალებული.

8. ელექტროდანადგარის გამორთვა დასაშვებია ამომრთველის, დენმკვეთის ან სხვა გამომრთველი აპარატის საშუალებით, აგრეთვე მცველების ამოღებით, შტეფსელური შეერთების გათიშვით, ხელოვნური მოკლე შერთვის შექმნით საპაერო ხაზებზე და ა.შ.



9. თუ არ არის ელექტროდანადგარის სწრაფი გამორთვის შესაძლებლობა, აუცილებელია მიღებული იქნას ზომები დაზარალებულის გამოყვანისათვის დენგამტარი ნაწილებიდან, რომელსაც ის ეხება.


10. 1000 ვ-მდე ძაბვის დროს დენგამტარი ნაწილებიდან დაზარალებულის ან სადენის მოცილებისას გამოყენებული უნდა იქნას თოკი, ჯოხი, ფიცარი ან რაიმე მშრალი დენგამტარი საგანი.



11. თუ დენგამტარი ნაწილი (სადენი და სხვა) მიწაზე დევს, დამხმარე უნდა იყოს ფრთხილად, რათა არ მოხვდეს ბიჯური ძაბვის ზონაში, რომელიც გამტარის მიწასთან

შეხების წერტილიდან დაახლოებით 10 მ-ის რადიუსზე ვრცელდება.

12. გადაადგილება ამ ზონაში უნდა განხორციელდეს ფრთხილად მიწიდან იზოლაციისათვის დამცავი საშუალებების გამოყენებით (დიელექტრიკული კალოშები, ბოტები, ხალიჩები, იზოლირებული სადგამები) ან ელექტროდენის ცუდგამტარი სადენების გამოყენებით (მშრალი ფიცრები, ხეები და სხვა).



13. ჩამოვარდნილ სადენთან სირბილით ან გრძელი ნაბიჯების გადადგმით მიახლოება აკრძალულია
14. დამცავი საშუალებების გარეშე, მიწაზე მოკლე შერთვის დენის გავრცელების ზონაში, გადაადგილება შეიძლება მხოლოდ მოკლე (ე.წ. „ბატისფეხური“) ნაბიჯებით ფეხების ერთმანეთთან დაუშორებლად, ისე რომ გადადგმული ფეხის ტერფი არ მოშორდეს მიწის ზედაპირს.
15. დაზარალებულის გამონთავისუფლების შემდეგ, იგი გაყვანილი უნდა იქნას მოკლე შერთვის დენის გავრცელების ზონიდან, 8-10 მ-ის მანძილზე. აუცილებელია, რომ დაშავებულს აღმოაჩნდეს სპეციალისტის (ექიმის) დახმარება შესაბამის დაწესებულებაში.
16. იმ შემთხვევაში თუ დაშავებული პირი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას გამოძახებული პირველადი გადაუდებელი დახმარების ჯგუფი.
17. დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე : 112
18. გადაუდებელი დახმარების ჯგუფის მოსვლამდე/შესაბამის დაწესებულებაში მოხვედრამდე საჭიროა უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებულის რენანიმაცია წინამდებარე ინსტრუქციის 1 მუხლის შესაბამისად

მუხლი 4. გადახურება („მზის დარტყმა“), ჰიპოთერმია (მოყინვა), წყალში ხრჩობა

1. გადახურება „მზის დარტყმა“ არის იშვიათი, მაგრამ ყველაზე მძიმე სიცხესთან დაკავშირებული დაავადება. ის ჩვეულებრივ ვითარდება, როდესაც ადამიანი სითბური დაკვრის სიმპტომების იგნორირებას ახდენს. მზის დაკვრა სერიოზული სამედიცინო შემთხვევაა.

2. სიმპტომები : დაზარალებულს აღენიშნება სხეულის მაღალი ტემპერატურა, წითელი კანი, რომელიც შეიძლება იყოს მშრალი ან ტენიანი, ცნობიერების

დაბინდვა, სწრაფი, სუსტი პულსი, გახშირებული სუნთქვა, ღებინება.

3. დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112.

4. სწრაფად გააგრილეთ სხეული დაზარალებულის კისრამდე წყალში



მოთავსებით, თუ ეს შესაძლებელია ან მიახურეთ წყალი.

5. წაუსვით მთელ სხეულზე ყინულივით ცივი წყლით დასველებული პირსახოცი, ხშირად შეცვალეთ ცივი, სველი პირსახოცებით.

6. დაადეთ ყინულიანი ჩანთები/ საფენები.

7. განახორციელეთ სწრაფი გაგრილების მეთოდები 20 წთ-ს განმავლობაში, ვიდრე დაზარალებულის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება/სასწრაფო დახმარების მოსვლამდე

8. ჰიპოთერმია (მოყინვა) ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ვითარდება ჰიპოთერმია (გადაცივება) ან მოყინვა (კიდურები, ყურები, ცხვირი).

9. ჰიპოთერმია წყალში 25 -ჯერ უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ჰაერზე



10. ჰიპოთერმია უფრო სწრაფად უვითარდებათ ბავშვებს და მოხუცებს მის სიმპტომები შეიძლება იყოს:

ა) შეხებით კანი ცივი, მკრთალი ფერის;

ბ) სითხით სავსე ბუშტუკები;

გ) ქსოვილის ნეკროზი (კვდომა);


დ) ტემპერატურის დაქვეითება;

ე) ცნობიერების დაბინდვა.

11. დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112

12. გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო (თბილ) გარემოში, გახადეთ დაზარალებულს ცივი, სველი ტანსაცმელი, დაიწყეთ დათბუნება/ მკურნალობა (დათბუნება, თბილი გარემო (ოთახის ტემპერატურის ეტაპობრივად მომატება 40-42გრადუსამდე).

13. წყალში დახრჩობა, დახრჩობა ეწოდება სასუნთქი გზების დახშობას ნებისმიერი



მუხლი 5. ჭრილობა

1. ღია/ღრმა ჭრილობის შემთხვევაში:

ა) დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112.

ბ) გაიკეთეთ სამედიცინო ხელთათმანები, რომელიც პირველადი დახმარების ყუთში არის განთავსებული (არ შეახოთ ჭრილობას დაუმუშავებელი/დაბინძურებული ხელი);

გ) ჭრილობა დაფარეთ დოლბანდით და მაგრად დააჭირეთ ჭრილობაზე ხელი, სანამ სისხლდენა არ შეჩერდება.



დ) შემოახვიეთ ბინტი მტკიცედ დოლბანდისა და ჭრილობის გარშემო, რათა მოხდეს ჭრილობაზე ზეწოლის შენარჩუნება და დოლბანდი დარჩეს ჩვენს მიერ მოთავსებულ ადგილას. თუ სისხლი ჟონავს ბინტიდან, არ მოხსნათ ეს უკანასკნელი, არამედ დაამატეთ ახალი ნახვევი და უფრო გააძლიერეთ ჭრილობაზე ზეწოლა.



ე) დაეხმარეთ რათა პიროვნება მოთავსდეს კომფორტულად, მისთვის სასურველ პოზაში.

ვ) დახმარების გაწევის შემდეგ დაიბანეთ ხელები, იმისდა მიუხედავად იყენებდით თუ არა სამედიცინო ხელთათმანებს.

ზ) იმ შემთხვევაში თუ სისხლდენა არტერიულია (ამის მანიშნებელია ჭრილობიდან მფეთქავი შადრევნის მსგავსი სისხლდენა) ან დოლბანდის დადებამ არ შეაჩერა სისხლდენა და სასწრაფო დახმარება იგვიანებს - გამოიყენეთ ლახტი.


თ) კიდურებიდან სისხლდენისას ლახტი ედება ჭრილობის ზემოთ. ხელზე მკლავის მიდამოში, ხოლო ფეხზე ბარძაყის მიდამოში.

ი) ლახტის დადება არ შეიძლება შიშველ კანზე, აუცილებლად დაფარეთ ადგილი რაიმე ნაჭრით ან ბინტის საფენით.

კ) პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთში მოთავსებულია ლახტი, რომელსაც აქვს შესაბამისი მომჭერი და ჩამკეტი



ლ) თუ აღნიშნული ლახტი არ მოიპოვება, მაშინ ლახტის დადებისას ვაკეთებთ ერთ ჩვეულებრივ კვანძს, ზემოდან ვადებთ მყარ წვრილ საგანს და ვაფიქსირებთ მეორე კვანძით (ანუ ვკმნით ბერკეტს). ბერკეტის ნელი ტრიალის საშუალებით ვუჭერთ ლახტს მანამ, სანამ არ შეჩერდება სისხლდენა.



მ) სისხლდენის შეჩერების შემდეგ ლახტზე ან ხელზე ვაწერთ ლახტის დადების დროს.

ნ) ლახტის შეხსნა უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებაში, შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის მიერ.

2. მცირე ჭრილობის შემთხვევაში:

ა) გაიკეთეთ სამედიცინო ხელთათმანი და დააფინეთ სტერილური დოლბანდი ჭრილობაზე.

ბ) ეცადეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში ნაკაწრზე დაწოლით შეაჩეროთ სისხლდენა.

გ) ჭრილობა გულმოდგინედ გაასუფთავეთ წყლითა და საპნით. თუ შესაძლებელია ნაკაწრზე 5 წუთის განმავლობაში იდინოს სუფთა, თბილმა, გამდინარე ონკანის წყალმა.

დ) დაამუშავეთ ჭრილობის ირგვლივ კანი სპირტში დასველებული ბინტით.

ე) ჭრილობაში ჩაასხით წყალბადის ზეჟანგის რამოდენიმე წვეთი და გაამშრალეთ სტერილური ბინტით.

ვ) სტერილური დოლბანდი დააფარეთ ჭრილობას და შეახვიეთ, რათა შეინარჩუნოთ ტენიანობა და თავიდან აიცილოთ გამოშრობა.


მუხლი 6. მოტეხილობა, ხერხემლის დაზიანება

1. მოტეხილობის ან ხერხემლის დაზიანების დროს დაუყოვნებლივ დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე **112**

2. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე:

ა) დაადეთ დაზარალებულს არტაშანი და დააფიქსირეთ მოტეხილი ადგილი.

ბ) ხერხემლის დაზიანების ეჭვის შემთხვევაში დაუფიქსირეთ დაზარალებულს კისერი და სხეული და არ გადაადგილოთ იგი.



მუხლი 7. დამწვრობა

1. დამწვრობა არის რბილი ქსოვილების სპეციფიური დაზიანება. დამწვრობის დროს საფრთხე ექმნება კანის ზედაპირს ან მთლიანად კანს, ცხიმოვანი შრის, კუნთებისა და ძვლის ჩათვლით. ძირითადად გამოყოფენ დამწვრობის 3 ხარისხს: I ხარისხის (ზედაპირული), II ხარისხის (ნახევრად ღრმა) და III ხარისხის (ღრმა დამწვრობა) დამწვრობას.
2. I ხარისხის დამწვრობა - დამწვარია მხოლოდ კანის ზედა ფენა. ახასიათებს სიწითლე და გამომშრობა. როგორც წესი მტკივნეულია და შესაძლოა დამწვარი ადგილი შესივდეს. ხშირ შემთხვევებში 1 კვირის ვადაში ხორცდება, ნაიარევის დარჩენის გარეშე.
3. II ხარისხის დამწვრობა - დამწვარია კანის ზედაპირული შრეები. ახასიათებს სიწითლე, შესიება და როგორც წესი მტკივნეულია. ხშირად ჩნდება წყლულები, რომელიც შესაძლოა გასკდეს და დაიღვაროს სითხე.
4. III ხარისხის დამწვრობა - დამწვარია კანის ყველა შრე, აგრეთვე ყველა ან რამდენიმე კანქვეშა ქსოვილი, როგორცაა ცხიმი, კუნთი, ძვლები ან ნერვები. ღრმა დამწვრობის დროს კანი ხდება მოყავისფრო ან მოშავო ფერის, საიდანაც რბილი ქსოვილის შიდა ფენა თეთრად მოჩანს. ასეთი დამწვრობა შეიძლება იყოს ძალიან მტკივნეული ან უმტკივნეულო.



5. დამწვრობის მიღების შემთხვევაში საჭიროა:

- ა) აუცილებლად მიმართეთ ექიმს/დამწვრობის ცენტრს, თუ ამის საშუალება არსებობს ან/და დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112
- ბ) გადაიყვანეთ დაზარალებული დამწვრობის წარმოშობის წყაროდან მოშორებით.
- გ) შეამოწმეთ ხომ არ არსებობს სიცოცხლისთვის საშიში გარემოებები.
- დ) რაც შეიძლება სწრაფად გააგრილეთ დამწვრობის ადგილი, წყლის დიდი, გამდინარე ნაკადით, სანამ ტკივილი არ განელდება.
- ე) დამწვრობა დაფარეთ სტერილური დოლბანდით, ისე რომ ზედმეტად არ მოუჭიროთ.
- ვ) არ გამოიყენოთ ყინული ან ყინულიანი წყალი დამწვრობისას, ვინაიდან ასეთმა საშუალებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ტემპერატურის სწრაფი დაცემა და ქსოვილების დაზიანება.
- ზ) არ შეეხოთ დამწვრობას რაიმე სხვა საგნით, გარდა სუფთა დოლბანდისა.
- თ) არ მოაცილოთ დამწვრობის ადგილას მიკრული მატერია.
- ი) არ ეცადოთ გაწმინდოთ ღრმა დამწვრობა.
- კ) არ გახეთქოთ დამწვრობისას წარმოქმნილი წყლულები.
- ლ) არ გამოიყენოთ რაიმე სახის მალამო ღრმა დამწვრობის დროს.

მუხლი 8. ქიმიური დამწვრობა

1. ქიმიური დამწვრობის დროს უნდა გახსოვდეთ, რომ ქიმიური ნივთიერება სხეულზე განაგრძობს წვას, ამიტომ თქვენ რაც შეიძლება მალე უნდა მოაცილოთ ეს ნივთიერება დაზიანებულის სხეულს. ქიმიური დამწვრობის შემთხვევაში და იმოქმედეთ შემდეგი წესებით (ინსტრუქციით):
 - ა) თუ დამწვრობა გამოიწვია მშრალმა ქიმიურმა ნივთიერებამ, მოაშორეთ ეს უკანასკნელი ხელთათმანის ან პირსახოცის გამოყენებით, ასევე დაზარალებულის სხეულს მოაცილეთ ნებისმიერი ქსოვილი, რომელიც ასეთი ნივთიერებითაა დასვრილი.
 - ბ) სიფრთხილე გამოიჩინეთ დამწვარი ადგილის წყლით დაბანისას, რათა ქიმიური ნივთიერება არ მოხვდეს თქვენს სხეულზე ან არ გადაიტანოთ იგი დაზარალებულის სხეულის სხვა ნაწილზეც!

გ) დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ან სასწრაფო დახმარების მოსვლამდე გააგრძელეთ დამწვრობა გამდინარე წყლის დიდი ნაკადით.

დ) თუ ქიმიური დამწვრობა შეეხო თვალის მიდამოს, დაიბანეთ/დაბანეთ იგი



დაზარალებულს სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე. ამისათვის დაზარალებულს დაახრევინეთ თავი ისე, რომ წყლის ნაკადის მიშვებისას დაზიანებული თვალი უფრო ქვემოთ აღმოჩნდეს, ვიდრე ჯანმრთელი, შესაბამისად თავიდან აიცილოთ ამ უკანასკნელის დასველება.

ე) შესაძლებლობის შემთხვევაში, შემდგომი ქიმიური რეაქციის თავიდან ასაცილებლად, გახადეთ დაზარალებულს ტანისამოსი, რომელსაც ქიმიურ ნივთიერებებთან შეხება ჰქონდა.

ვ) გახსოვდეთ, რომ ქიმიური დამწვრობისას დახმარების აღმოჩენისას ნივთიერების გარკვეული ნაწილი შეიძლება თქვენც შეისუნთქოთ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი გზების და ფილტვების დაზიანება.

მუხლი 9. ჭრილობა მუცლის ღრუში

1. მუცლის ღრუს ნებისმიერი ფორმის ჭრილობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112 და მის მოსვლამდე:

ა) ჩაიცვით ერთჯერადი ხელთათმანები, სასურველია სტერილური ან/და დაიმუშავეთ ხელები სპირტის შემცველი სითხით.

ბ) ნელ-ნელა დავაწვინოთ ტრამვირებული ზურგზე, თუ ეს შესაძლებელია.

გ) არ დააწვეთ ღია ჭრილობაზე.

დ) არ ჩააბრუნოთ ჭრილობიდან ამოვარდნილი ორგანოები შიგნით(მაგალითად ნაწლავები).

ე) გაანთავისუფლეთ ჭრილობა ტანსაცმლისაგან.

ვ) ფრთხილად დააფინეთ სუფთა, ნოტიო საფენი ჭრილობაზე.

ზ) საფენზე, ზემოდან დააფინეთ ცელოფანი და დააფიქსირეთ იგი კანზე ლეიკოპლასტიკით.



მუხლი 10. გველის ნაკბენი (შხამიანი)

1. საქართველოში შხამიანი გველები ძალიან მცირეა. მათგან საშიშია გიურზა(სურათზე - ღია



ფერის) და კავკასიური გველგესლა (სურათზე - მუქი ფერის).



2. ნაკბენით გამოწვეული ფატალური შემთხვევები ძირითადად განპირობებულია დაკბენილი პირის ალერგიული რეაქციით, სუსტი ჯანმრთელობით ან დაგვიანებული სამედიცინო დახმარების მიღებით. ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა:

ა) დარეკეთ სასწრაფო/გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112




ბ) ჩამოიბანეთ ჭრილობა.

გ) დაადეთ ელასტიური დამწოლი ნახვევი, რათა შეიქმნას შხამის გავრცელება ლიმფური სისტემის გზით

დ) შეამოწმეთ კიდურის მგრძობელობა, ტემპერატურა, ფერი

ე) სახვევმა უნდა დაფაროს სხეულის დიდი ნაწილი, როგორცაა მკლავი ან წვივი. გამოიყენეთ რვიანისებრი ნახვევი მუხლის ან კოჭის სახსრებითვის.



ვ) სახვევის დადების შემდეგ დაზიანების ზემოთ და ქვემოთ შეამოწმეთ მგრძობელობა, ტემპერატურა, ფერი, განსაკუთრებით ხელისა და ფეხის თითებზე. მისი შემოწმება სახვევის დადებამდე და მის შემდეგ დაგეხმარებათ გაიგოთ მგრძობელობის დაკარგვა დაკავშირებულია არსებულ დაზიანებასთან თუ სახვევის კომპრესიასთან.

ზ) შეამოწმეთ სახვევის სიმჭიდროვე. სახვევის ქვეშ თითი ადვილად უნდა თავსდებოდეს, მაგრამ არა ძალიან თავისუფლად.

თ) შეინარჩუნეთ დაზიანებული არე მოსვენებულ მდგომარეობაში. დაზარალებულმა, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას უნდა იაროს - ნაკბენის შემთხვევაში, სხეულის მოძრაობა ხელს უწყობს შხამის სისხლში გადაადგილებას

ი) თუკი არსებობს საშუალება, იმისა რომ დაზარალებული სასწრაფო დახმარების მოსვლამდე უფრო მალე თავად გადაიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში, განახორციელეთ აღნიშნული ქმედება

კ) არ დაადოთ ყინული!

ლ) არ გაკვეთოთ ჭრილობა!

მ) არ ეცადოთ ნაკბენიდან შხამის ამოღება/გამოწოვას!

ნ) დაიმახსოვრეთ! შხამიანი გველის ნაკბენს აღენიშნება 2 ნაჩხვლეტი, ხოლო არაშხამიანი გველის ნაკბენს- ოთხი ან მრავალი ნაჩხვლეტი.



ელექტრო ხელსაწყოების გამოყენება

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1. გაეცანით ელექტროხელსაწყოს ქარხნულ ინსტრუქციას და შეასრულეთ მისი მოთხოვნები.
2. ელექტრო ხელსაწყოს გამოყენება სასტიკად აკრძალულია ნებისმიერი თრობის ზემოქმედების ქვეშ (ალკოჰოლური, მედიკამენტური, ნარკოტიკული და ა.შ).
3. ელექტრო ხელსაწყოების გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ ხელსაწყო არის ქარხნულად გამართული და არ აღენიშნება გარეგანი დაზიანება.
4. აკრძალულია ელ.ხელსაწყოს გამოყენება ქარხნულად გათვალისწინებული დამცავი მოწყობილობის/აქსესუარის გარეშე!
5. ჩანგლისებრი შესაერთებელი უნდა იყოს გამართული და დაზიანების გარეშე.
6. ხელსაწყოს ელ.კაბელი უნდა იყოს ქარხნულად გამართული და დაზიანების გარეშე.
7. ელ. ხელსაწყო გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
8. გადახურების, გაუმართავი მუშაობის შემთხვევაში, შეაჩერეთ ელ.ხელსაწყოს გამოყენება და ამოიღეთ სამუშაო პროცესიდან .
9. არ ეცადოთ დაზიანებული/დეფექტიანი ელ.ხელსაწყოს თვითნებურად შეკეთებას!
10. აკრძალულია ელ.ხელსაწყოს დაერთება დენის წყაროსთან ჩანგლისებრი შესაერთებლის გარეშე!



11. მოარიდეთ ელ. ხელსაწყოს ნესტი/წყალი (ელექტრო შოკის მიღების საფრთხე).
12. ყოველთვის გამოიყენეთ პირადი დამცავი აღჭურვილობა: დამცავი ჩაფხუტი, დამცავი სათვალე/ფარი, დამცავი ხელთათმანები, დამცავი ფეხსაცმელები. (დამატებითი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება დამოკიდებულია ელ.ხელსაწყოს სახეობასა და შესასრულებელ სამუშაოზე).

13. ელ.ხელსაწყო დენის წყაროსთან დაერთებამდე, დარწმუნდით რომ ხელსაწყო გამორთულია ხელსაწყოზე არსებული ჩამრთველ-გამომრთველით (ON/OFF უნდა იყოს დაყენებული OFF-ლილაკზე).
14. ელ. ხელსაწყო ნებისმიერი კორექტირებისა თუ მასზე აქსესუარის შეცვლის პროცესამდე აუცილებლად გამორთეთ მოწყობილობა დენის წყაროდან!
15. სამუშაოს შესრულების შემდეგ, არ დატოვოთ ელ.ხელსაწყოები უყურადღებოთ. არ განათავსოთ ელ.სადენები ისეთ ადგილას სადაც მოძრაობა უწევს სხვა დასაქმებულებს ან/და ტექნიკას.
16. ელ. სადენი მთავრად მალა ტემპერატურას, წყალს, ზეთოვან სითხეს, ბასრ ზედაპირებსა და მოძრავ მექანიზმებს, რათა მინიმუმადე შემცირდეს აღწერილი სადენის დაზიანება.
17. შეინარჩუნეთ ელ. ხელსაწყოები, რომელიც გადმოგეცემათ გამოსაყენებლად - სუფთა და მოვლილ მდგომარეობაში.
18. ხელსაწყოები შეინახეთ მშრალ და უსაფრთხო/იზოლირებულ ადგილას.
19. აკრძალულია გაკვანძული/გადახლართული ელ.სადენიანი ხელსაწყო გამოყენება/დენის წყაროზე დაერთება.
20. დარწმუნდით რომ სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები კარგად გაქვთ მორგებული, არაფერია ამობურცული და ჩამოკიდებული, რაც შეიძლება ჩაითრიოს ელექტროხელსაწყო მზრუნავმა ნაწილმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით მუშაობას.
21. სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთეთ ხელსაწყო ელ. ქსელიდან და შეინახეთ.

მუხლი 2. ელექტრო კუთხსახები

1. კუთხსახების არასწორმა/უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც მძიმე ფიზიკური ზიანი, ასევე ფატალური შედეგიც.
2. სამუშაოს დაწყებამდე გამოიყენეთ შემდეგი პირადი დაცვის აღჭურვილობა:

ა) დამცავი ჩაფხუტი.

ბ) ხმაურისგან დამცავი აღჭურვილობა/ყურის დამცავი.


გ) დამცავი რესპირატორი.

დ) დამცავი ხელთათმანები.

ე) დამცავი სახის ფარი / დამცავი სათვალე.


ვ) ამრეკლხაზიანი სამოსი (ტანის სრული დაფარვით).

ზ) დამცავი ფეხსაცმელები.



- სამუშაოს დაწყებამდე დარწმუნდით, რომ სამუშაო პერიმეტრზე შესაძლებელია უსაფრთხოდ მუშაობა (უსწორმასწორო ზედაპირი-ფეხის გადატრიალება / სრიალა ზედაპირი / აალებადი- ფეთქებაშიში სივრცე და ა.შ).
- სამუშაო პერიმეტრი გაათავისუფლეთ ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში საგნებისა და ნივთიერებებისგან
- აკრძალულია გვერდითი სახელურისა და დამცავი ფარის გარეშე ხელსაწყოს გამოყენება!

დაზიანებული დისკი



- ყოველთვის შეამოწმეთ კუთხსახეხისთვის განკუთვნილი საჭრელი/სახეხი დისკი. ნებისმიერი დეფექტის შემთხვევაში (ზზარი, სინესტე, მოტეხილი ნაწილი და ა.შ) შეცვალეთ იგი გამართული/უდეფექტო ქვით
- კუთხსახეხს დაუმონტაჟეთ მხოლოდ მისთვის შესაფერისი ზომის საჭრელი/სახეხი დისკი
- კუთხსახეხს გააჩნია სხვადასხვა დანიშნულების და მატერიის საჭრელი/სახეხი დისკები. აღნიშნული ქვები გამოიყენეთ მხოლოდ მისი დანიშნულებისამებრ! (მაგალითად: საჭრელი დისკი არ უნდა იქნეს გამოყენებული სახეხი სამუშაოსთვის ე.წ „შლიფოვკისთვის“. იმ შემთხვევაში თუ საჭრელ დისკზე გვერდითა მხრიდან დავიტანთ რაიმე საგანს გასახეხად, აღნიშნულმა ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი დაზიანება-გატეხვა და ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება).

9. მოითხოვეთ სამუშაოს შესაბამისი საჭრელი/სახეხი დისკი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეუდგეთ სამუშაოს და მიმართეთ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელს.
10. საჭრელი/სახეხი დისკი არასდროს უნდა იქნეს გამოყენებული იმაზე მეტი ბრუნვის სიჩქარით ვიდრე ეს მწარმოებლის მიერ არის განსაზღვრული.
11. არ დაასველოთ/არ გამოიყენოთ ნამიანი ან დასველებული საჭრელი დისკი.
12. აკრძალულია ხელსაწყო ჩართულ მდგომარეობაში დატოვება.
13. მაქსიმალურად მოარიდეთ ხელი/სხეულის ნაწილები მბრუნავი ქვისგან.
14. მუშაობის დროს, ნუ გამოიყენებთ ზედმეტ ძალას/ძალდატანებას.
15. იმ შემთხვევაში თუ კუთხსახეხი, რომელსაც დამონტაჟებული აქვს საჭრელი/სახეხი დისკი, ძირს დაგივარდათ, აუცილებლად ჩაანაცვლეთ იგი ახლით.
16. არ შეეხოთ ან/და არ დადოთ ძირს ხელსაწყო მბრუნავი ქვით! დაელოდეთ ბრუნვის გაჩერებას და შემდგომ განახორციელეთ მისი განთავსება
17. სამუშაოს დასრულების შემდეგ, არ შეეხოთ საჭრელ ქვას რამდენიმე წუთის განმავლობაში! საჭრელი ქვა შესაძლოა იყოს ცხელი/გახურებული და გამოიწვიოს სხეულის დამწვრობა.
18. აკრძალულია იმ საჭრელი ქვის გამოყენება, რომელიც არ არის გათვლილი კონკრეტულ სამუშაოზე (მეტალის საჭრედ გამოიყენეთ სპეციალურად მეტალის გასაჭრელი დისკი, ხეხვითი სამუშაოსთვის - სპეციალური სახეხი დისკი და ა.შ).
19. აკრძალულია კუთხსახეხზე ხის საჭრელი პირის გამოყენება.



მუხლი 3. ელექტრო პორტატული ხელის საბურღი, სტაციონალური საბურღი და პერფორატორი




1. სამუშაოს დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ხელსაწყო არის ქარხნულად გამართული და არ აღენიშნება რაიმე სახის ვიზუალური ან/და მექანიკური ზიანი.
2. გაუმართავი/დეფექტის მქონე ხელსაწყო გამოყენება აკრძალულია.
3. ხელსაწყო აღჭურვეთ სამუშაო აქსესუარებით მანამ, სანამ დააერთებთ მას დენის წყაროსთან.

4. გამოიყენეთ შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:
 - ა) დამცავი ჩაფხუტი.
 - ბ) დამცავი სათვალე.
 - გ) ხმაურისგან დამცავი აღჭურვილობა.
 - დ) რესპირატორი.
 - ე) დამცავი ხელთათმანები.
 - ვ) ამრეკლხაზიანი სამოსი.
5. სამუშაო პროცესში, ხელსაწყო დაიკავეთ ორივე ხელით (დაუმონტაჟეთ გვერდითი სახელური).
6. აკრძალულია საბურღი სამუშაოების წარმოება მისაღვამი კიბის გამოყენებით.
7. გასაბურღი დეტალი მყარად დაამაგრეთ სადგარზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით ბურღვას.
8. გამოიყენეთ მხოლოდ ის საბურღი პირები, რომელიც ზუსტად შეესაბამება საბურღ მასალას.
9. ბურღის პირის შეცვლამდე, გათიშეთ ხელსაწყო დენის წყაროდან.
10. არ შეეხოთ ახლად გამორთულ/გაჩერებულ ბურღის პირს! (დამწვრობის მიღების საშიშროება).
11. ხელები/სხეულის ნაწილები მოარიდეთ მბრუნავ მექანიზმსა და საბურღ პირს.
12. მოარიდეთ საბურღი ხანგრძლივ მუშაობას. აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს ძრავის გადახურება.
13. მუშაობის დროს, ნუ გამოიყენებთ ზედმეტ ძალას/ძალდატანებას.
14. არ განახორციელოთ საბურღი სამუშაოს დაწყება თავიდანვე მაქსიმალური სიჩქარით! დაიტანეთ საბურღი პირი გასაბურღ ზედაპირზე და ზომიერად მოუმატეთ ბრუნვის სიჩქარეს.
15. არ დაფაროთ ბურღის ძრავთან არსებული სავენტილაციო ჭრილები.
16. სამუშაოს დასრულების შემდეგ, არ შეეხოთ ან/და არ დადოთ ძირს ხელსაწყო მბრუნავი პირით! დაელოდეთ ბრუნვის გაჩერებას და შემდგომ განახორციელეთ მისი შენახვა/განთავსება.
17. სტაციონალური ბურღით მუშაობისას დამატებით დარწმუნდით, რომ ხელსაწყო სამუშაო არე აღჭურვილია დამცავი ფარით, ხოლო გარსაცმით უნდა იყოს აღჭურვილი ხელსაწყო ბრუნის გადაცემის მოწყობილობა (ღვედური თუ კბილანური), ასევე უნდა

გამოიყენოთ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

18. პერფორატორით მუშაობისას დამატებით გამოიყენეთ ვიბრაციის საწინააღმდეგო ხელთათმანები.
19. კედლის ან სხვა საგნის გაბურღვისას დარწმუნდით, რომ გასაბურღ ადგილას არ გადის ელ. სადენი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით ბურღვას.

მუხლი 4. ელექტროსაშემდუღებლო აპარატი



1. სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ზომების შესახებ.
2. საშემდუღებლო სამუშაოების წარმოება ნებადართულია მხოლოდ კარგად განიავებად სივრცეებში.
3. საშემდუღებლო სამუშაოების წარმოებისას შედუღების ზონა (შედუღების რკალი, მდნარი ლითონი) არის ელექტრო

შემდუღებლის შესაძლო დაზიანების წყარო შედუღების რკალის გამოსხივებისგან, სითბოსგან და მდნარი ლითონის ნაპერწკლებისგან.

4. შედუღების დროს გამოსხივებისგან, გამდნარი ლითონის ნაპერწკლებისგან თავლების, სახის, თავისა და კისრის კანის დასაცავად, აგრეთვე ლითონის ორთქლის, წიდის და აეროზოლების პირდაპირი ზემოქმედებისაგან სასუნთქი ორგანოების ნაწილობრივი დასაცავად, აუცილებელია შუშის ფილტრიანი დამცავი ფარის გამოყენება. სამუშაოების ჩატარებისას ასევე გამოიყენე ბრეზენტის სპეცტანსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ბრეზენტის ხელთათმანი, ტყავის ფეხსაცმელი, რესპირატორი), იქონიე ისინი სუფთა და გამართულ მდგომარეობაში და შეინახე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.
5. შედუღების ზონიდან 20 მეტრის მანძილზე (რკალის გამოსხივება მხედველობისთვის საშიშია 20 მ-მდე მანძილზე) მყოფმა ყველა დამხმარე თუ სხვა სამუშაოთ დაკავებული პირი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი სათვალეებით და ფილტრებით.
6. სათავსების იატაკი, სადაც მოწყობილია მუდმივი ადგილები ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების ჩასატარებლად უნდა იყოს უწყვი მასალის. სათავსებში, სადაც წარმოებს დეტალების შედუღება წინასწარი გაბურღვის გარეშე, უნდა მოეწყოს ფენილი უწყვი მასალისგან და გამოირიცხოს ნაპერწკლების და ნაღვენთების წვად წედაპირებზე მოხვედრა.

7. აკრძალულია ელექტროსაშემდუღებლო დანადგარის დამიწების გარეშე გამოყენება.
8. სადენები განთავსდეს ისე, რომ დაცული იყოს მექანიკური დაზიანებისაგან და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისგან, ასევე მოარიდეთ სადენები ნესტიან არეს.
9. სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთე დანადგარი ელექტროქსელიდან და შეინაზე.

მუხლი 5. სალესი/სახეხი დაზგა



1. დაზგის მთავარი აქტიური ელემენტია აბრაზიული დისკი.
2. დარწმუნდით, რომ დაზგა არჭურვილია დამცავი ფარებით და გარსაცმით, დამიწებულია და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდევით საქმიანობას.
3. აკრძალულია დამუშავების ტექნოლოგიის დარღვევა, მათ შორის საშიში მეთოდების გამოყენება.
4. მუშაობის დროს, ნუ გამოიყენებთ ზედმეტ ძალას/ძალდატანებას და მკვეთრ მოძრაობებს.
5. მცირე დეტალების დასამუშავებლად გამოიყენეთ სპეციალური დამჭერები.
6. არ გამოიყენოთ სალესი ქვის გვერდითი ზედაპირი თუ სალესი ქვა არ არის განკუთვნილი ასეთი სამუშაოებისთვის.
7. გამოიყენეთ შემდეგი პირადი დაცვის აღჭურვილობა:
 - ა) ბამბისგან დამზადებული სპეცტანსაცმელი.
 - ბ) დამცავი ჩაფხუტი.
 - გ) ხმაურისგან დამცავი აღჭურვილობა/ყურის დამცავი.
 - დ) დამცავი რესპირატორი.
 - ე) დამცავი სახის ფარი / დამცავი სათვალე.
 - ვ) დამცავი ფეხსაცმელები.

დასუფთავება/დალაგების განმახორციელებელი პერსონალისთვის

მუხლი 1. დასუფთავება/დალაგების განმახორციელებელი პერსონალის ვალდებულები და აკრძალვები

დასუფთავება/დალაგების განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია:

ა) მოვალეობის შესრულების დაწყებამდე გაიაროს შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაში;

ბ) იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;

გ) შეასრულოს სამუშაო და გამოიყენოს სამუშაო ინვენტარი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა საშუალებები ინსტრუქციებისა შესაბამისად;

დ) კუთვნილებისამებრ, ინსტრუქციების შესაბამისად, გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანი, მტვრისგან დამცავი ნიღაბი, სათვალე, წინსაფარი, უსაფრთხოების ღვედები და სხვა);

ე) დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, უნივერსიტეტის ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

ზ) დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

თ) ნაგვის ასაღებად გამოიყენოს შესაბამისი ინვენტარი (ცოცხი, აქანდაზი);

ი) მტვერსასრუტი და სხვა ელექტროსაწმენდი ხელსაწყო გამოყენების წინ შეამოწმოს გამართულობაზე, ასევე ელ. კაბელის და ელ. ჩანგლის დეფექტებზე.

კ) მტვერსასრუტის და სხვა ელექტროსაწმენდი ხელსაწყო მტვერის დამჭერი ტომრების და სხვა შესაცვლელი დეტალების მოხსნა/დაბნევა განხორციელდეს მხოლოდ დენის წყაროდან გამორთულ მდგომარეობაში;

ლ) ელექტროსაწმენდი ხელსაწყოების ელ. ქსელიდან გამოვრთვისას ერთ ხელი მოვკიდოთ ელ. ჩანგალს, მეორე ხელით დავიჭიროთ როზეტი.

მ) ზამთრის პერიოდში თოვლისა და ყინულისგან უნივერსიტეტის შემოსასვლელების, გარე კიბეების გასაწმენდად გამოიყენოს შესაბამისი ინვენტარი (ნიჩაბი, ყინულსამტვრევი, ცოცხი);

ნ) მიაქციოს ყურადღება და მოუფრთხილდეს ეზოს პერიმეტრზე არსებულ გამწვანებას;

ო) ბალახის საცელავე ტრიმერის გამოყენების დროს, მომატებული ხმაურისგან თავის დასაცავად გამოიყენოს ხმაურმშობი, გამტვრიანების დროს შესაბამისი რესპირატორი და შესაძლო ასხლეტილი მყარი ნაწილაკებისაგან დასაცავად - სახის დამცავი ფარი;



პ) სამუშაო პროცესი განახორციელოს სპეცტანსაცმლით; ჟ) სიმაღლეზე სამუშაოს დაწყების წინ შეამოწმოს ქარხნულად დამზადებული გასაშლელი კიბეების ვარგისიანობა, ზედაპირული შემოწმებით დარწმუნდეს კიბის ვარგისიანობაში, მდგრადობაში, გამძლეობაში.

რ) დახურული ელექტრო როზეტები, გაიწმინდოს მხოლოდ მშრალი ჩვრით.

1. პერსონალს ეკრძალება:

ა) ნაგვის/ნარჩენის დაწვა;

ბ) ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შედის მათ ფუნქცია-მოვალეობაში;

გ) სამუშაო აღჭურვილობის (ინვენტარის/ინსტრუმენტების) თვითნებურად შეკეთება/მოდიფიცირება;

დ) სამუშაო ინვენტარის/ინსტრუმენტების უყურადღებოდ დატოვება;

ე) სიმაღლეზე მუშაობა უსაფრთხოების ღვედების, ქამრის და თავის დამცავი ჩაფხუტის გარეშე;

ვ) ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყო (მ.შ. ჭაღების) დასუფთავება.

3. საფრთხეები და შესაძლო რისკები

1. საფრთხე - ფიზიკური შრომა, საყოფაცხოვრებო ქიმიკატები, სიმაღლეზე

მუშაობა (ნაგვის ხელით აღება, თოვლისა და ყინილისგან გასუფთავება, ბურჭების და ხეების ბადის მაკრატლით გაკრეჭა, დასუფთავებისას ქიმიკატების გამოყენება, ჭაღების, კედლების და მინების გაწმენდა) რისკები - საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და ფუნქციური სისტემების დაზიანება, ინტოქსიკაცია, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, ელექტროშოკი;

4. სამუშაოს დაწყების წინ

1. შეამოწმე სამუშაო ინვენტარის და ინსტრუმენტების მდგომარეობა;
2. დარწმუნდი, რომ სამუშაო არეალში არ იმყოფება სხვა პირი (განსაკუთრებით საშიში სამუშაოს შესრულების დროს);
3. დარწმუნდი დასალაგებელი ტერიტორიის უსაფრთხოებაში;
4. ჩაიცვი სპეცტანსაცმელი;
5. საჭიროებისამებრ გამოიყენე ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
6. მიიღე ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების შესახებ;

5. ქიმიკატებთან მუშაობა

1. ქიმიკატებთან მომუშავე პერსონალს წარმოადგენს პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, უზრუნველყოფს საწყობებსა და საწარმოო ზონებში საჭირო ადგილებზე ქიმიური მასალების გამოყენებას MSDS-ის (მასალის უსაფრთხოების პასპორტის) შესაბამისად. ასუფთავებს გარემოს და კონტაქტი აქვს ნარჩენებთან. ეს პერსონალია დამლაგებლები.
2. ქიმიკატებთან მომუშავე პერსონალის დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს აგრესიული ქიმიური სუბსტრატები, მჟავები, ტუტეები, მარილები და სხვა.
3. პერსონალმა შეიძლება მიიღოს შემდეგი დაზიანება: კანის, სასუნთქი გზების, თვალის დამწვრობა, გაღიზიანება, შესუნთქვის, გაშხეფების, შესხმის გამო, ასევე, ქიმიური მოწამვლა, ალერგიული შეტევა და ანაფილაქსიური შოკის განვითარება. შეიძლება შეისუნთქოს გადაჭარბებული რაოდენობის ქიმიური საშუალება.
4. შესაძლებელია პერსონალის შეცდომის, დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის, ან სხვა შემთხვევითი მიზეზის გამო ტოქსიური აირის, წვადი და თხევადი ნივთიერებებისაგან მოხდეს მოწამვლა, ალერგიული რეაქცია, გონების დაკარგვა, დამწვრობა და სხვა ტრამვული დაზიანება.

6. აუცილებელი პრევენციული ქმედებები რისკების შესამცირებლად

1. ინფორმაცია ქიმიკატების უსაფრთხოების შესახებ - MSDS (მასალის (ქიმიკატის) უსაფრთხოების პასპორტი) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქიმიკატის შენახვის და გამოყენების ადგილას. MSDS - ინახება

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასუფთავების განყოფილების უფროსთან. MSDS-ის ასლები უნდა ჰქონდეს აგრეთვე დასუფთავება/დალაგების განმახორციელებელ პერსონალს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდა დაზიანებული პერსონალის დახმარება.

2. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასუფთავების განყოფილების უფროსი უნდა აკონტროლოს და დარწმუნებული იყოს, რომ ყველა ქიმიკატი მოთავსებულია ორიგინალურ შეფუთვაში.

7. პერსონალმა უნდა იცოდეს:

ა) როგორ უნდა აირიდონ თავიდან სახიფათო ქიმიკატის გავლენა - ქიმიკატები გამოვიყენოთ მინიმალური რაოდენობით და გამოვიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

ბ) მექანიზმები, რომლითაც ხდება საფრთხის არიდება - ქიმიკატის მავნე თვისებების ცოდნა და შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;

გ) პროცედურები, რომელიც უნდა შესრულდეს პერსონალის დაზიანების შემთხვევაში - უნდა მოხდეს დაზიანებული ადგილის ჩამოხანა, პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თვალის ამოსაბანი შხაპით;

დ) ეტიკეტების განმარტება და ინფორმაცია (MSDS) - მასალის (ქიმიკატის) უსაფრთხოების პასპორტი მოიცავს ინფორმაციას მისი მავნე თვისებების შესახებ, რაც დაგვეხმარება მავნე გავლენებისგან პრევენციაში;

ე) სათანადო შენახვის და ეტიკეტირების პროცედურები - ყელა ქიმიკატი უნდა ინახებოდეს ორიგინალურ შეფუთვაში, რათა გამოირიცხოს მისი შეცდომით ხმარება;

ვ) ლატექსის მიმართ მგრძობიარე პერსონალმა გამოიყენოს არალატექსის ან ფხვნილის გარეშე ხელთათმანები;

ზ) დაიცავით ქიმიკატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები;

თ) გამოიყენეთ ბარიერები: ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, რესპირატორი, სამუშაო ტანსაცმელი;

ი) დაიბანეთ ხელი და სხეულის ღია ნაწილები ყოველთვის, როცა კონტაქტში იქნები ქიმიკატთან;

8. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებია:

ა) სპეცტანსაცმელი;

ბ) ხელთათმანი;

გ) დამცავი სათვალე;

დ) რესპირატორი;

ე) უსაფრთხოების ღვედები და ქამარი;

ვ) თავის დამცავი ჩაფხუტი;

ზ) ხმაურმხშობი;

თ) სახის დამცავი ფარი;

(შენიშვნა ზემოაღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არა პირველი, არამედ დაცვის უკანასკნელი საფეხურია. ხოლო დაცვის პირველი საშუალებაა იმ სტრატეგიის და ტაქტიკის შერჩევა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს).

9. სამუშაოს დასრულების შემდეგ:

ა) სამუშაო ინვენტარი/იარაღები/ქიმიკატები/სპეცტანსაცმელი შეინახე განცალკევებულად, შესაბამის ადგილებში ისე, რომ არ იყოს სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომი;

ბ) დაასუფთავე კუთვნილი სამუშაო ადგილი;

გ) შეუსაბამოების აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს ადმინისტრაციას.

მუხლი 1. ოფისის დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი

1. ოფისის პირობებში მუშაობის დროს უნდა დაიცვა შემდეგი მარტივი წესები:
 - ა) იყავი ყურადღებით გადაადგილების დროს;
 - ბ) საშიშია მოძრაობის დროს კითხვა;
 - გ) არ შეაკეთო ელექტრომოწყობილობა. შეატყობინე პასუხისმგებელ პირს;
 - დ) სიგარეტის მოწევა აკრძალულია შენობაში ყველგან და ნებადართულია მხოლოდ ამისთვის განკუთვნილ ადგილზე. დარწმუნდი, რომ კარგად ჩააქრეთ ასანთი, სიგარეტი და ა.შ.
 - ე) სასტიკად აკრძალულია ნარკოტიკის და ალკოჰოლიანი სასმელის შემოტანა ოფისში. ასევე, აკრძალულია ნარკოტიკის და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნების ოფისის ტერიტორიაზე ყოფნა;
 - ვ) არ გადაადგილო ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები ოფისის ტერიტორიაზე, თუ ამის აუცილებლობა არ არსებობს;
 - ზ) ყურადღებით გაეცანი და შეისწავლე ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო პროცედურები, იცოდე, სად არის უახლოესი საგანგაშო სისტემა, სად არის უახლოესი სახანძრო გასასვლელი, როგორ უნდა მოხდეს ოფისის ევაკუაცია;
 - თ) ისწავლე ცეცხლმაქრის გამოყენების წესები;
 - ი) განგაშის შემთხვევაში არ ჩავარდე პანიკაში, არ დაიწყო ზედმეტი მოძრაობები და სირბილი, შეინარჩუნე სიმშვიდე, ევადე გამორთო ძირითადი ელექტრობაზი, არ დაიწყო პირადი და ოფისის ნივთების გამოტანა, დახურე კარებები და ფანჯრები და კედელზე გაკრული საევაკუაციო გეგმის მიხედვით მიხედვით სასწრაფოდ დატოვე შენობა და მიდი თავშეყრის ადგილზე;
 - კ) კიბეზე მოძრაობისას, განსაკუთრებით ქვემოთ ჩასვლისას, აუცილებლად დაეყრდენი კიბის მოაჯირს;
 - ლ) არასოდეს დატოვო ნივთები კიბის საფეხურებზე;
 - მ) არასოდეს დატოვო იატაკზე დაგდებული წვეტიანი ნივთები, მასზე შეიძლება ვინმემ დააბიჯოს;
 - ნ) თავი აარიდე მძიმე ნივთების მაღალ თაროებზე შემოდებას;
 - ო) არასოდეს ჩაყარო წვეტიანი და ბასრი ნივთები ქაღალდის სანაგვე ვედროებში, გახსოვდეს, რომ მათი დასუფთავებისას შეიძლება დაშავდეს დამლაგებელი;
 - პ) პრინტერების, ფაქსების და ქსეროქსების ქაღალდით შევსებისას, ან გასუფთავების დროს დარწმუნდი, რომ ისინი გათიშულნი არიან ელექტროქსელიდან;
 - რ) არ შედგე ბორბლებიან სკამებზე სიმალიდან ნივთების ჩამოსაღებად;
 - ს) ისეთი ნივთები, როგორცაა საქაღალდე დანა, ჭიკარტები, სტეპლერები, მაკრატელი - შეინახე უსაფრთხო ადგილას;

ტ) ოფისში გამოყენებული ქიმიკატების MSDS-ები (მასალის (ქიმიკატის) უსაფრთხოების პასპორტი) ხელმისაწვდომი უნდა იყოს პერსონალისთვის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის.

უ) სიფრთხილე დაიცავი ელექტროხელსაწყოებთან მუშაობის დროს, ყოველი დაზიანება მოახსენე ადმინისტრაციას, ან უსაფრთხოების სამსახურს;

ფ) ყურადღება მიაქციე, რომ სისტემა არ გადაიტვირთოს ზედმეტი მოწყობილობების ჩართვით;

ქ) დარწმუნდი, რომ საგნის (ტვირთის) გადატანისას ხედავ გზას;

ღ) მძიმე ნივთები მოათავსე დაბალ თაროებზე;

ყ) არ ჩახერგო გასასვლელები;

შ) ნაგვის ურნები განათავსე უსაფრთხო ადგილზე, არ დაბლოკო სამოდრაო გზები;

ჩ) უზრუნველყავი იატაკზე ან კიბეზე დაღვრილი სითხის (ჩაი, ყავა და სხვ.), მოწმენდა, რაც შეიძლება გახდეს ფეხის გაცურების მიზეზი;

ც) გაეცანი საევაკუაციო გეგმას, საგანგებო მართვის გეგმას და მითითებულ ტელეფონის ნომრებს;

ძ) ხანძრის ან მიწისძვრის შემთხვევაში პანიკის გარეშე სწრაფად დატოვეთ შენობა და შეიკრიბეთ საევაკუაციო პუნქტზე;

წ) მიწისძვრის დროს თუ შენობის დატოვება შეუძლებელია, დადექით შენობის საყრდენ კედელში დატანებული კარის ლიობში. თუ იქ დადგომა შეუძლებელია, ან არასაიმედოა შენობის კედლები, თავი შეიფარეთ მაგიდის ქვეშ;

ჭ) მოერიდე ელექტროგადამცემ ხაზებთან სიახლოვეს ან, მათ ქვეშ დგომას;

ხ) გახსოვდეს! ძლიერი მიწისძვრის დროს ბიძგები რამოდენიმეჯერ მეორდება. ყველაზე საშიში პერიოდია მიწისძვრიდან პირველი 2-3 საათი;

2. კომპიუტერთან მუშაობა

1. სამუშაოს დაწყებამდე:

ა) დაათვალიერე და შეამოწმე, რომ მოწყობილობები სამუშაო რეჟიმშია, ელექტროსადენები არ არის გადახლართული, განათების დონე დამაკმაყოფილებელია, როზეტები გამართულია;

ბ) დარწმუნდი, რომ ელექტროგადამცემი სადენები არ ედებიან ბასრ და მჭრელ საგნებს. ასევე, არ დაუშვა მაგიდის/სკამის ფეხის დადგმა/გამოდება ელექტროსადენზე, ინტერნეტის და ტელეფონის კაბელებზე;

გ) კომპიუტერის ჩართვისას, დაიცავი მოწყობილობის ჩართვის შემდეგი თანმიმდევრობა:

ღ) ჩაირთოს ელექტრომომარაგება;


ყ) ჩაირთე პერიფერიული მოწყობილობები (პრინტერი, მონიტორი, სკანერი და ა.შ.);

ვ) ჩაირთე კომპიუტერი (პროცესორი).

ზ) აღჭურვილობის, ინვენტარის, ელექტრული გაყვანილობის და სხვა გაუმართაობების შესახებ უნდა ეცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

თ) პრობლემების აღმოფხვრამდე დაუშვებელია მუშაობის დაწყება.

2. კომპიუტერთან მუშაობისას ჯდომის ოპტიმალური წესი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სურათზე. საჭიროების შემთხვევაში, შეცვალე სკამის/სავარძლის პოზიცია ისე, რომ გამოირიცხოს სხეულის დაძაბულობა.



რა ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას კომპიუტერთან ჯდომის წესების დარღვევამ



3. მუშაობის პროცესში:

ა) არ შეეხო ელექტრომოწყობილობას სველი ხელებით;

ბ) მოკლე ჩართვაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში ელექტრომოწყობილობა დაუყოვნებლივ გათიშე ქსელიდან და გაუმართაობის აღმოსაფხვრელად გამოიძახე კვალიფიციური პერსონალი;

- გ) დაიცავი თვალებიდან მონიტორამდე დაშორების რეკომენდირებული მანძილი - 60-70 სმ ფარგლებში;
- დ) გამოიყენე შესვენებები და შეასრულე სავარჯიშოები ფეხებისთვის;
- ე) თვალის კუნთების დაძაბულობის მოსახსნელად ყოველ 2 საათში ერთხელ გააკეთე თვალების ვარჯიში (გადაიტანე მზერა მონიტორიდან, მაგ. გადაიხედე ფანჯრიდან, დაათვალიერე არემარე, მზერა მიაბყარი, რიგ-რიგობით, შორს და ახლოს არსებულ ობიექტებს და მაქსიმალურად გაიმეორე ეს მოქმედა;
- ვ) კომპიუტერთან სწორი მუშაობისას აუცილებელია რომ შენარჩუნებული იყოს სწორი, პოზა.
- ზ) კომპიუტერთან მუშაობისას დაუშვებელია:
- თ) პროცესორის უკანა პანელზე შეხება, როდესაც დენი ჩართულია;
- ი) პერიფერიული მოწყობილობის ინტერფეისის კაბელების შეერთება/გადაერთება,
- კ) როდესაც დენი ჩართულია;
- ლ) მოწყობილობების ზედაპირებზე ფურცლების და სხვა საგნების დაწყობა;
- მ) კლავიატურის, ეკრანის, პრინტერის და ა.შ. დასველება;
- ნ) მოწყობილობის დამოუკიდებლად გახსნა და რემონტი.
- ო) ავარიულ სიტუაციებში:
- პ) ელექტროსადენების წყვეტის, აპარატურაში სითხეების მოხვედრის, დამწვრის სუნის და სხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციისას დაუყოვნებლივ გათიშე მოწყობილობა ელექტროქსელიდან და აცნობე უშუალო ხელმძღვანელს;
- ჟ) ნებისმიერი პროგრამული და ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში აცნობე უშუალო ხელმძღვანელს;
- რ) მოწყობილობის აალების ან ხანძრის კერის შემჩნევის შემთხვევაში იმოქმედე სახანძრო უსაფრთხოების წესებით.
- ს) უბედური შემთხვევისას დაუყოვნებლივ აღმოუჩინე პირველად დახმარება დაშავებულს;
- ტ) მხედველობის მკვეთრი გაუარესების, ან საგნებზე ფოკუსირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დატოვე სამუშაო ადგილი, შეატყობინე ხელმძღვანელს და მიმართავს ექიმს.
- უ) აცნობე უშუალო ხელმძღვანელს ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, მათ შორის მწვავე დაავადებების ნიშნების გამოვლენის შესახებ.

4. სამუშაოს დასრულებისას:

- ა) გამორთე მოწყობილობები ელექტრო ქსლიდან;
- ბ) მოწყობილობები მხოლოდ ქსელიდან გათიშვის შემდეგ გაწმინდე;
- გ) მოაწესრიგე სამუშაო ადგილი;
- დ) შეატყობინე ხელმძღვანელს ნებისმიერი გაუმართაობის შესახებ.

5. დამატებითი მოთხოვნები არქივებსა და ბიბლიოთეკებში მომუშავეთათვის

1. ძველ წიგნებთან და საარქივო მასალებთან მუშაობისას აუცილებლად გამოიყენე ხელთათმანები და რესპირატორი.
2. მაღალი თაროდან წიგნების ან საარქივო მასალების ჩამოღებისას გამოიყენე ქარხნულად დამზადებული გასაშლელი კიბე და ასვლისას და დგომისას შეინარჩუნე მასთან სამ წერტილიანი კონტაქტი.
3. საცავებში მუშაობის დასრულების შემდეგ გათიშე განათება.
4. საცავებში აკრძალულია ელექტროგამათბობელი ხელსაწყოების გამოყენება.

ოფისში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება



სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესები და სიმაღლეზე მუშაობისას დასაქმებულის თანმდევი ინსტრუქტაჟი

მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

1. სიმაღლეზე სამუშაოებს მიეკუთვნება ის სამუშაოები, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე;
2. სიმაღლეზე მუშაობა წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა კატეგორიას და იქ დასაქმებული ყოველი პირი ვალდებულია სამუშაოს დაწყებამდე შრომის უსაფრთხოების სამსახურისაგან მიიღოს ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ;
3. დამსაქმებელი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს წინასწარი კონსულტაციები დასაქმებულ პირებთან სამუშაო გარემოს გაუმჯობესების/რეორგანიზების შესახებ და მათთან ერთად დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.
4. სიმაღლეზე მუშაობისას შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების ზემოქმედება:
 - ა) სამუშაო ადგილის განლაგება მიწიდან (გადახურვის, იატაკის) დაშორებით მნიშვნელოვან სიმაღლეზე და დასაქმებულის შესაძლო გადმოვარდნა ან მასზე რაიმე საგნის გადმოვარდნა;
 - ბ) კონსტრუქციების ჩამოშლა (ხარაჩო, კიბეები და საკიდი ხარაჩო და სხვა დამხმარე მოწყობილობა);
 - გ) დაცურება (ზედაპირის მოყინვა, დანესტიანება, დაზეთოვნება);
 - დ) ელექტროდენი;
 - ე) მოძრავი მანქანები და მექანიზმები;
 - ვ) ქარის მომეტებული სიჩქარე (ღია სივრცეში მუშაობის პირობებში);
 - ზ) სამუშაო სივრცეში ჰაერის მაღალი ან დაბალი ტემპერატურა;
 - თ) მჭრელი საგნები;
 - ი) სამუშაო სივრცის არასაკმარისი განათება;
 - კ) ფიზიკური გადატვირთვა.
5. სიმაღლეზე დამოუკიდებლად მუშაობაზე დაიშვება პირი 18 წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და კომპეტენცია, ამასთან ფლობს შესაბამის მოწმობას, რომელმაც გაიარა სამედიცინო შემოწმება და არა აქვს უკუჩვენებები, რათა შეასრულოს აღნიშნული სამუშაოები, შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ, ასევე ადგილზე გაიარა სწავლება ან/და სტაჟირება შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე. დასაქმებულები, რომლებიც პირველად დაიშვებიან მაღლივ სამუშაოებზე ვალდებულნი არიან ერთი წლის განმავლობაში იმუშაონ გამოცდილი თანამშრომლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც დაინიშნებიან ხელმძღვანელობის ბრძანებით.
6. დასაქმებული, რომელიც დაიშვება სიმაღლეზე სამუშაოებზე ვალდებულია:
 - ა) შეასრულოს მხოლოდ ის სამუშაო, რომელიც განსაზღვრულია სამუშაო ან თანამდებობრივი ინსტრუქციით;

ბ) შეასრულოს შიდა განაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (დამცავი ქამარი, ჩაფხუტი, სასიგნალო ჟილეტი, სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ღვედი, დამცავი ბაგირი);

დ) დაიცვას შრომის უსაფრთხოებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ე) დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავის უშუალო ან ზემდგომ ხელმძღვანელს იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მომხდარი ყოველი უბედური შემთხვევის, თავისი ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ;

ვ) გაიაროს სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდების და პირველადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე;

ზ) გაიაროს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და მისი ცოდნის შემოწმება;

თ) გაიაროს პერიოდული სავალდებულო სამედიცინო შემოწმებები (მისი შრომითი საქმიანობის პერიოდში), ასევე აუცილებლობის შემთხვევაში არაგეგმიური შემოწმებები;

ი) იცოდეს ხანძარქრობის საშუალებების გამოყენება;

კ) შეეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა.

7. ღია სივრცეში სიმაღლეზე მუშაობა აკრძალულია:

ა) წვიმის დროს;

ბ) რეგლამენტით დადგენილი ჰაერის ტემპერატურის ზღვრული ნორმების გადაჭარბების დროს;

გ) ქარის სიჩქარის 10-12 მ/წ და მეტის დროს;

დ) ძლიერი თოვლიანობისა და ნისლის დროს;

ე) ზედაპირის ძლიერი გამყინვარების შემთხვევაში;

ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის დროს.

ზ) ტრამვის მიღებისა და თავის შეუძლოდ გრძნობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამუშაო, შეატყობინოს სამუშაოს ხელმძღვანელს და მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას;

თ) აღნიშნული ინსტრუქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება დასაქმებულს.

მუხლი 2. მაღლივი სამუშაოს დაწყების წინ შესასრულებელი უსაფრთხოების წესები

1. სამუშაოს დაწყების წინ დასაქმებული ვალდებულია დაათვალიეროს სამუშაო ადგილი, მოაწესრიგოს იგი. გაათავისუფლოს ზედმეტი ნივთებისაგან, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საქმიანობის დროს;

2. სამუშაოს დაწყების წინ დასაქმებული ასევე ვალდებულია:

ა) დაათვალიეროს აღჭურვილობა, დამხმარე მოწყობილობები, რომლის გამოყენებასაც აპირებს და დარწმუნდეს მათ გამართულ მუშაობაში, ასევე შეამოწმოს გადასატანი კიბეების გამოცდის ვადები;

ბ) სამუშაოს დაწყების წინ შეამოწმოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მათ შორის დამცავი ქამრის გამოყენებამდე უნდა დარწმუნდეს, რომ იგი შემოწმებულია გამძლეობაზე და დარწმუნდეს მის გამართულ მუშაობაში. დამცავი ქამრის კარაბინი უნდა იყოს აღჭურვილი ჩამკეტით, რომელიც უზრუნველყოფს მის გახსნას და მის სწრაფ ჩაკეტვას (არაუმეტეს 3 წამი), ასევე ერთი ხელით სანდო ჩაკეტვას და გახსნას, ხელზე წამოცმული დათბილული ხელთათმნის შემთხვევაშიც. დამცავი ქამარი ისეთი სიგრძის უნდა იყოს, რომ თავისუფლად შეიკრას წელზე;

გ) ჩაფხუტის გამოყენების წინ, იგი უნდა შემოწმდეს კორპუსის და შიგთავსის შესაძლო დაზიანების აღმოსაჩენად.

დ) დასაქმებული ვალდებულია იცოდეს სამუშაო ადგილის მოწყობის ძირითადი მოთხოვნები (იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი - სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე):

ე) დამცავი მოაჯირების მოწყობის წესები, კერძოდ დამცავი მოაჯირი და სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე;

ვ) მოთხოვნები ხარაჩოების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ, კერძოდ დასაქმებული ვალდებულია გამოიყენოს სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი ხარაჩოები, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება. დაუშვებელია ხარაჩოს აღმართვა, შეცვლა ან მოხსნა პასუხისმგებელი პირის ან მის მიერ დანიშნული პირის ზედამხედველობის გარეშე. ზედამხედველ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია. ხარაჩოს გამოყენებული მასალები გამოყენებამდე ყოველ ჯერზე უნდა მოწმდებოდეს.

ზ) სამუშაო პლატფორმები, წანწალები და ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციის, რომ დასაქმებულები დაცული იყვნენ ჩამოვარდნისა და ჩამოცვნილი საგნებისგან. აკრძალულია უხარისხო/დეფექტური ბაგირების გამოყენება.

თ) მოთხოვნები დაკიდული ხარაჩოების მიმართ, კერძოდ დაკიდული ხარაჩოების ასაწევად ან დასაწევად ამწევი მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

ი) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე და მისი მოვლა/ექსპლუატაცია ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ;

კ) ხარაჩო უსაფრთხოდ და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული დამაგრების ადგილზე;

ლ) ამწევი მოწყობილობის დეტალები უნდა იყოს განლაგებული ხარაჩოს კიდეზე (შემლებისდაგვარად). ბაგირები უნდა იყოს მაქსიმალურად დაჭიმული;

მ) ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი მუხრუჭებით ან შესაბამისი შემაჩერებელი მექანიზმით;

ნ) ამწეზე ხარაჩოს დაკიდების შემთხვევაში, ხარაჩოს ქვედა ნაწილზე მიმაგრებულ თითოეულ შკივზე თოკი მინიმუმ ორჯერ უნდა იყოს შემოხვეული, ხოლო თითოეულ შკივზე დახვეული თოკის ბოლო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს თვალთ ალქმადი.

3. მოთხოვნები გადასატანი ხარაჩოების მიმართ:

ა) გადასატანი ხარაჩოს დამზადებისას გამოყენებული ყველა საბჯენი უნდა იყოს მყარი და სათანადო, გამძლე მასალისგან დამზადებული.

ბ) დაუშვებელია გადასატანი ხარაჩოს სტაციონარულ ხარაჩოზე განლაგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სივრცე საკმარისად ფართოა, ხოლო საყრდენი ბოძები პლატფორმაზე მყარად არის დამაგრებული.

4. ბორბლებზე ან რელსებზე მოძრავი ხარაჩო:

ა) აგებული უნდა იყოს სწორ, მყარ და გლუვ ზედაპირზე;

ბ) ისე უნდა იყოს დაფიქსირებული, რომ გამოირიცხოს მისი გამოძრავება მასზე დასაქმებულის მუშაობის პროცესში;

გ) გადასატანი ხარაჩოს უნდა გააჩნდეს მასზე მყარად დამაგრებული შესაბამისი კიბე.

დ) ხარაჩოს დატვირთვა არ უნდა აჭარბებდეს პასპორტით გათვალისწინებულ ნორმას.

5. მოთხოვნები უსაფრთხოების ბადეების მიმართ:

ა) ბადე უნდა განთავსდეს პლატფორმის ქვემოთ მაქსიმალურად ახლოს, მაგრამ არაუმეტეს 9 მეტრი სიმაღლისა;

ბ) უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს ქვედა სამუშაო სივრცეებისადამი მდინარე პროცესების ხილვადობას, რათა არ მოხდეს მყარი საგნების გადაგდება და არასასურველი კონტაქტი მიწის ზედაპირთან;

გ) დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს მისი შემოწმება. დამცავი ბადის შემოწმება უნდა განხორციელდეს მუშაობის დაწყებამდე, ხოლო თუ აღნიშნული ბადე არ იქნა მოხსნილი ან გადატანილი, მისი განმეორებითი შემოწმება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 6 თვისა. ბადის გამოცდისას უნდა გამოიყენონ 180 კგ-ის სიმძიმის ტვირთი არანაკლებ 1 მეტრის სიმაღლიდან. გამოცდის შედეგები უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ;

დ) დაუშვებელია დეფექტის მქონე ბადის გამოყენება დამცავ საშუალებად;

ე) თუ დამცავ ბადეში მოხვდება რაიმე რკინის ნაჭერი, იარაღი ან სხვა სახის საგანი, მისი ამოღება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ასევე უნდა განხორციელდეს ბადის შემოწმება ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ;

ვ) ყოველ დამცავ ბადეს კიდეზე უნდა ჰქონდეს ბაგირი, რომელიც უნდა უძლებდეს 2250 კგ მასის დატვირთვას.

6. მოთხოვნები სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ:

ა) დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა იყოს დამზადებული დაპრესილი ან ფორმირებული ფოლადისგან ან მისი მსგავსი მასალისგან;

ბ) დამაკავშირებელ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს კოროზიისაგან დამცავი დაბოლოებები და მისი ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, რათა არ მოხდეს ამ სისტემის შემადგენელი ნაწილების დაზიანება;

გ) კარაბინებისა და ჩამკეტიანი კაუჭების გამძლეობაზე სიმტკიცე უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვისას;

დ) კარაბინები და ჩამკეტიანი კაუჭები უნდა გამოიცადოს მინიმუმ 1600 კგ-ის გამძლეობაზე, რომლის დროსაც არ უნდა მოხდეს მათი გატეხვა, გაწყვეტა ან დეფორმაცია;

ე) ჩამკეტიანი კაუჭი უნდა გაიზომოს, რომ თავსებადი იყოს მიერთებულ ნაწილებთან, რათა არ მოხდეს მისი შემთხვევითი ამოვარდნა საჭერი მოწყობილობიდან. კაუჭი ასევე უნდა იკეტებოდეს, რათა გამოირიცხოს საჭერიდან და მიმაგრებული ნაწილებიდან გამოვარდნა;

ვ) თუ ჩამკეტიანი კაუჭს არ აქვს სამაგრი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს: თასმებზე, ბაგირებზე, ლითონის ბაგირებზე, კარაბინებზე, ჰორიზონტალურ ტროსებზე ან ნებისმიერ ნივთზე, რომლის ფორმა ან ზომა იმდენად შეუთავსებელია კაუჭთან, რომ შესაძლოა მოხდეს შემთხვევითი ამოვარდნა საჭერებიდან, შეერთებული ნაწილების დაწევა ან განცალკევება;

ზ) ჰორიზონტალური ტროსების მქონე დაკიდულ ხარაჩოებზე ან მსგავს სამუშაო პლატფორმებზე, სადაც ჰორიზონტალური ტროსი შესაძლოა ვერტიკალურ ტროსებად იქნეს გამოყენებული, ჰორიზონტალურ ტროსთან დამაკავშირებელი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ტროსის ორივე მხრიდან გამაგრებას;

თ) ჰორიზონტალური ტროსები, როგორც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, დაპროექტებულ, დაყენებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს კვალიფიციური პირის მიერ;

ი) ღვედები და ვერტიკალური ბაგირები უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის სიმძიმით/მასით დატვირთვას;

კ) ვერტიკალური ბაგირების გამოყენებისას თითოეული დასაქმებული პირი ცალკეულ ბაგირზე უნდა იყოს მიმაგრებული, გარდა ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ლ) ლიფტის შახტის მშენებლობისას ორი დასაქმებული შეიძლება მიმაგრებული იყოს ერთსა და იმავე ბაგირზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე პირი ერთი კაბინის ზევით მუშაობს და კაბინა შემოსაზღვრულია მოაჯირებით, ხოლო ბაგირის სიმტკიცე უნდა უძლებდეს თითო კაცზე 4450 კგ-ის დატვირთვას;

მ) ადამიანის დამცავი ბაგირები დაცული უნდა იყოს გადაჭრისაგან თუ გაცვეთისაგან;

ნ) გამოსაწევი ტიპის ბაგირები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს და მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს გამძლეობის სიმტკიცეს მინიმუმ 3350 კგ-ის დატვირთვით;

ო) გამოსაწევი ტიპის ტროსები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით არ ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს, ასევე გაცვეთილი და დეფორმირებული ღვედები, რომლებიც მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის დატვირთვას;

პ) ანკერული გამაგრებები, რომლებიც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ამაგრებს, უნდა იყოს განცალკევებული იმ ანკერული გამაგრებებისგან, რომლებიც პლატფორმების საყრდენებად ან საკიდად გამოიყენება და თითოეულ დასაქმებულზე უნდა უძლებდეს მინიმუმ 2250 კგ-ის დატვირთვას და უნდა დამონტაჟდეს და გამოყენებულ იქნეს კვალიფიციური პირის ზედამხედველობის ქვეშ.

ლ) სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა ვარდნის შეჩერებისას უნდა უზრუნველყონ ვარდნის დროს დასაქმებულის შეჩერება მიწის ზედაპირიდან 1.8 მეტრის სიმაღლეზე და არ უნდა მოახდინონ მისი შეხება მიწის ზედაპირთან.

7. მოთხოვნები დამჭერი მოწყობილობების მიმართ:

ა) მოთხოვნები მაფრთხილებელი ბარიერების მიმართ, კერძოდ სამშენებლო მოედანზე უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად“, „ვარდნის საფრთხეა“, „არ გადაკვეთო“);

8. მოთხოვნები გადასატანი კიბეების მიმართ:

ა) გადასატანი კიბეები დამზადებული უნდა იყოს გამძლე მასალისგან, უნდა მიმდინარეობდეს მათი სწორი მოვლა/ექსპლუატაცია და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ;

ბ) აკრძალულია ისეთი გადასატანი კიბეების გამოყენება, რომლებსაც აკლია საფეხურები ან აღენიშნებათ სხვა რაიმე დეფექტი;

გ) საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის განკუთვნილ) ღრმულებში და უნდა იყოს კარგად დამაგრებული. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ლითონისაგან დამზადებულ კიბეებზე;

დ) საფეხურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს;

ე) ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მასალისგან;

ვ) კიბის ზედა ნაწილი (როდესაც კიბე ვერტიკალურ ან დახრილ მდგომარეობაშია) მიმაგრებულ ინდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს დამაგრდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური მინიმუმ ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან;

თ) მშენებლობაზე გამოყენებულ კიბეს უნდა გააჩნდეს ვერტიკალური ღერძები და საფეხურები, რომლებიც არ უნდა იყოს დაზიანებული. კიბის საყრდენი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში;

ი) აკრძალულია არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენება;

კ) კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმაღლის შესაბამისად, ხოლო კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ის მანძილით;

ლ) აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა. დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს სამწერტილოვანი კონტაქტი;

მ) კიბის დადგმის ადგილი სწორად უნდა იქნეს შერჩეული და საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნებით;

ნ) მისასვლელ არეს კიბე უნდა აცდეს არანაკლებ ორი საფეხურით;

ო) ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიელექტრიკული კიბეები;

პ). ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმებისა და ყველა ზემოთაღნიშნული საშუალებების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტურად და შემოწმების აქტით.

ჟ) მოთხოვნები ღიობების მიმართ, კერძოდ ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. ხუფები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რ) ყველა ხუფი უნდა უძლებდეს მასზე მდგარი დასაქმებულის და განთავსებული ხელსაწყოთა და ნივთის გაორმაგებულ წონას;

ს) ხუფები უნდა დამონტაჟდეს ისე მყარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შემთხვევითი გადაადგილება;

ტ). ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი წარწერა – „ორმო“ („HOLE“) და „ხუფი“ („COVER“).

მუხლი 3. მაღლივი სამუშაოების შესრულების დროს შესასრულებელი უსაფრთხოების წესები

1. ყველა სამუშაოები უნდა ჩატარდეს გამოყენებული მოწყობილობების, მანქანებისა და მექანიზმების ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულის დაცვას საშიში და მავნე ფაქტორებისაგან;

2. იმის გათვალისწინებით, რომ სიმაღლედან ვარდნა არის უმეტესი უბედური შემთხვევების ძირითდი მიზეზი, სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე;

3. მაშველი ქამრის გამოყენების შემთხვევაში (მოკლევადიან სამუშაო სიმაღლეზე დამცავი ჯებირების გარეშე, ან როდესაც შეუძლებელია მათი მოწყობა), დამცავი ქამარი უნდა მიმაგრდეს კონსტრუქციაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე. მათი არ ქონის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას დამცავი ბაგირი ან მთავსვლელის დამცავი აღჭურვილობა;

4. მისადგმელი კიბის გამოყენებისას საჭიროა დაცული იქნას შემდეგი წესები:

ა) ტრანსპორტისა და ადამიანების მოძრაობის ადგილებში მისადგმელი კიბით მუშაობისას, კიბე უნდა იყოს დაცული და შემოღობილი;

ბ) აკრძალულია კიბის დასაგრძელებლად კასრების, ხის ყუთების და სხვა საგნების გამოყენება;

გ) აკრძალულია მისადგმელი კიბის გამოყენება კიბის უჯრედების საფეხურებზე;

დ) აკრძალულია ერთზე მეტი ადამიანის დგომა მისადგმელი კიბის საფეხურზე;

ე) აკრძალულია დამცავი ჯებირების არ მქონე მისადგმელი კიბით მუშაობა მბრუნავი მექანიზმების, მომუშავე მანქანების, ტრანსპორტიორების და სხვ. ახლოს და მათ ზემოთ;

ვ) აკრძალულია მისადგმელი კიბის გამოყენება ელექტრო, პნევმატური ხელსაწყო და სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტებით მუშაობის დროს;

ზ) აკრძალულია მისადგმელი კიბის გამოყენება ელექტრო და გაზო შემდუღებლობითი სამუშაოების დროს.

5. კალათებისა და ტელესკოპიური კალათების გამოყენებისას საჭიროა დაცული იქნას შემდეგი წესები:

ა) კალათში შესვლა/გამოსვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მიწის ზედაპირზე;

ბ) დასაქმებულის აყვანა/ჩამოყვანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ბრძანების შემდეგ სიჩქარით არაუმეტეს 10 მ/წთ. დიდ სიმაღლეზე მუშაობისას დასაქმებული აღჭურვილი უნდა იყოს კავშირის საშუალებებით;

გ) აყვანის/ჩამოყვანის დროს დასაქმებული კალათაზე მიმაგრებული უნდა იქნას დამცავი ქამრით;

დ) ტელესკოპურ კალათაში მუშაობისას დასაქმებული უნდა იდგეს და მიმაგრებული უნდა იყოს კალათაზე დამცავი ქამრის ბაგირით;

ე) ჩამოკიდებულ კალათაში მუშაობისას დასაქმებული მიმაგრებული უნდა იქნას დამცავი ქამრის ბაგირით ანკერზე ან კონსტრუქციაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;

ვ) მუშაობისას მანქანის მძღოლს უნდა ჰქონდეს ვიზუალური კონტაქტი კალათაში მყოფ დასაქმებულთან. შეუძლებლობის შემთხვევაში, მესამე პიროვნება უნდა ხელმძღვანელობდეს კალათის აწევას/დაწევას;

ზ) აკრძალულია სხვა პირების ყოფნა კალათის ქვეშ, აღნიშნული არეალი უნდა შეიიღობოს მაფრთხილებელი ლენტით და შესაბამისი ნიშნით ან წარწერით.

თ) აკრძალულია 20 გრადუსზე ზემოთ დახრის მქონე სახურავზე და სხვა დახრილ ზედაპირებზე მუშაობა დამცავი ქამრის გარეშე;

ი) 20 კილოგრამზე მეტი ტვირთის აწევა/დაწევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამწევი მექანიზმების საშუალებებით;

კ) სიმაღლეზე მუშაობისას ინსტრუმენტის გადატანა დაშვებულია მხოლოდ ჩანთით, ზურგჩანთით ან ქამარზე მიმაგრებულ მდგომარეობაში;

ლ) ძაბვის ქვეშ მყოფი სადენების ქვეშ განლაგებულ კონსტრუქციებზე მუშაობისას მოწყობილობები და ინსტრუმენტი უნდა დამაგრდეს, მათი ჩამოვარდნის თავიდან ასაცილებლად;

მ) შესვენების დროს ყველა ინსტრუმენტი და მოწყობილობა დამაგრებული უნდა იყოს, მათი ჩამოვარდნის თავიდან ასაცილებლად;

ნ) ქარის სიჩქარის მომატების (10-12 მ/წმ და ზემოთ), ხილვადობის შემცირების, წვიმის ან გამყინვარების დაწყების დროს ყველა სამუშაო უნდა შეჩერდეს.

მუხლი 4. ავარიული სიტუაციების დროს შესასრულებელი უსაფრთხოების წესები

1. ავარიულ სიტუაციებს, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს უბედური შემთხვევა, დასაქმებული ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი პროცედურები:

ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და შეატყობინოს სამუშაოთა მწარმოებელს;

ბ) დასაქმებულმა, სამუშაოთა მწარმოებლის ხელმძღვანელობით, ოპერატიულად მიიღოს

ზომები ავარიული სიტუაციის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც

შეუძლიათ გამოიწვიონ უბედური შემთხვევა;

2. უბედური შემთხვევის დროს:

ა) დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს, აუცილებლობის შემთხვევაში - გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში.

ბ) მიიღოს ზომები ავარიული სიტუაციის განვითარების აღკვეთისათვის.

გ) შეინახოს ხელუხლებლად უბედური შემთხვევის ადგილი, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის სხვა პირების სიცოცხლეს, არ იწვევს განსაკუთრებული გარემოებების წარმოქმნას. თუ შეუძლებელია ხელუხლებლად შენარჩუნება, დააფიქსიროს არსებული ვითარება

(შეადგინოს სქემები, მახდინოს ფოტოგრაფირება და სხვა)

3. სამუშაოს დასრულებისას დასაქმებული ვალდებულია:

ა) მოაწესრიგოს სამუშაო ადგილი და სპეცტანსაცმელი, ააღაგოს ინსტრუმენტი, აღჭურვილობა გამოყენებული მასალები;

ბ) ნარჩენები გაიტანოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;

გ) შეატყობინოს სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, მუშაობისას აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და მათი აღმოფხვრისათვის მიღებულ ზომებზე.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები

ელექტროსისათვის

მუხლი 1. უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები.

1. ელექტროსის თანამდებობაზე დამოუკიდებელად სამუშაოზე დაიშვებიან 18 წლის და უფროსი ასაკის პირები, რომელთაც აქვთ ელექტროსის შესაბამისი კვალიფიკაცია, შესაბამისი დაშვების ჯგუფი, სერთიფიკატი, სამუშაოთა შესრულების უფლება, არ გააჩნიათ უკუჩვენებები ჯანმრთელობის მხრივ ზემოაღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად, განსწავლულნი არიან სამუშაოთა წარმოების უსაფრთხო მეთოდებში, გავლილი აქვთ ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე.
2. დასაქმებულმა უნდა გაიაროს ტრენინგი სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდებისა და ტექნიკის შესახებ, ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების დაცვის შესახებ, სამუშაო ადგილზე სტაჟირების გავლა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების ცოდნის ტესტირება. პერიოდული სამედიცინო შემოწმება გაიაროს მინიმუმ წელიწადში ერთხელ;
3. ელექტრული აღჭურვილობის 1000 ვ-დე ძაბვის შეკეთებისას და მომსახურებისათვის, უნდა ჰქონდეს ელექტრული უსაფრთხოების III –კატეგორიის ჯგუფის მინიჭების სათანადო საბუთი, ხოლო 1000 ვ-ზე მაღალი უნდა იყოს IV ჯგუფის საბუთი.
4. ელექტროსი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები, წესები და ინსტრუქციები და შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;
 - ბ) სწორად გამოიყენოს კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სამუშაო ტანსაცმელი, უსაფრთხოების ფეხსაცმელი და გამოყენებისთვის გაცემული სხვა პირადი დამცავი საშუალებები და მოწყობილობები;
 - გ) დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს სამუშაოსთან დაკავშირებული ნებისმიერი უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების ნიშნების, აგრეთვე იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
 - დ) იცოდეს დამცავი აღჭურვილობისა და მოწყობილობების ტესტირების პირობები, მათი გამოყენების წესები, მოვლა და გამოყენება. დაშვებული არ არის იმ დამცავი მოწყობილობების გამოყენება, რომელთაც ამოეწურათ ექსპლუატაციისათვის განკუთვნილი ვადა;
 - ე) შეასრულოს მხოლოდ დავალებული სამუშაო;
 - ვ) მიჰყვეს აღჭურვილობის გამოყენების ინსტრუქციას;
 - ზ) იცოდეს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის საშუალებების ადგილმდებარეობა, პირველადი ხანძრის ქრობის საშუალება, ძირითადი და საგანგებო გასასვლელი, ევაკუაციის მარშრუტები ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;
 - თ) იცოდეს სიმბიმის ტარების ნორმები;
 - ი) იცოდეს სამედიცინო დაწესებულების და სახანძრო განყოფილების ტელეფონის ნომრები;

კ) შეინახოს სამუშაო ადგილი წესრიგში და სისუფთავეში;

ლ) ავადმყოფობის ან დაზიანების შემთხვევაში, როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ, აუცილებელია პირადად ან სხვა პირების მიერ ამის შესახებ აცნობოს სამუშაოს ხელმძღვანელს ან დაწესებულების ხელმძღვანელს;

მ) უბედური შემთხვევის მოხდენის დროს, დაზარალებულს უნდა გაეწიოს პირველადი დახმარება ინსტრუქციის შესაბამისად, გამოიძახეთ სამედიცინო მუშაკი. გამოძიებამდე შეინარჩუნეთ სიტუაცია სამუშაო ადგილზე, როგორც ეს იყო ინციდენტის დროს, თუ ეს საფრთხე არ ემუქრება სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არ იწვევს უბედურ შემთხვევას.

2. ხანძრის გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოთ სახანძრო სამსახურს 112, თქვენს უშუალო უფროსს, უსაფრთხოების სამსახურს ან საწარმოს მენეჯერს;

ბ) გამორთეთ მოწყობილობები ხანძრის ზონაში;

გ) ცეცხლის ჩაქრობა განაგრძეთ ხანძრის ქრობის თქვენს ხელთ არსებული საშუალებებით.

3. მუშაობის დროს, ელექტრიკოსმა უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) გაიარეთ მხოლოდ დადგენილი ბილიკების, გარდამავალი ხიდების და პლატფორმების გასწვრივ;

ბ) ნუ დაჯდებით და არ დაეყრდნობთ შემთხვევით საგნებსა და ღობეებს;

გ) აკრძალულია სირბილი ასვლის და ჩამოსვლის დროს კიბეებსა და გარდამავალ ხიდებზე.

დ) არ შეეხოთ ელექტრო მავთულს, ელექტრული დანადგარების კაბელებს;

ე) ნუ იმოძრავეთ ამწე მანქანების სამუშაო ზონაში;

ვ) ყურადღება მიაქციეთ უსაფრთხოების ნიშნებს, სიგნალებს და შეასრულეთ მათი მოთხოვნები. აკრძალვის ნიშნის დამადასტურებელი წარწერით „ნუ ჩართავ მას - ხალხი მუშაობს!“ უფლება აქვს მოხსნას მხოლოდ იმ თანამშრომელმა, ვინც დააყენა ამკრძალავი ნიშანი. დანადგარის ჩართვა აკრძალულია, თუ პანელს აქვს ამკრძალავი უსაფრთხოების ნიშანი, რომელზეც განმარტებითი წარწერაა: „ნუ ჩართავ - ხალხი მუშაობს!“

4. ტერიტორიის გარშემო გადაადგილებისას უნდა დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

ა) იარეთ მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ბილიკებზე, ტროტუარებზე;

ბ) შენობის დატოვებისას, დარწმუნდით, რომ მოძრავი მანქანა ან სპეცტექნიკა არ არის;

გ) სასმელი წყალი დალიეთ მხოლოდ ამისათვის განკუთვნილი ონკანებიდან;

დ) ჭამეთ მხოლოდ სპეციალურად აღჭურვილ ოთახებში.

ე) მოწვევა დასაშვებია მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. აკრძალულია ალკოჰოლის მიღება სამუშაო ადგილზე და სამსახურში გამოცხადება ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების თრობის ქვეშ.

5. საშიში და მავნე წარმოების ფაქტორები არის:

ა) მავნე ელექტრო ქსელში;

ბ) მავნის არსებობა მომსახურე მოწყობილობებზე;

- გ) ხელსაწყოების დაუცველი მკვეთრი კიდეები;
- დ) დამუშავებული მასალის ფრაგმენტები;
- ე) გაზრდილი ფიზიკური დატვირთვა;
- ვ) გაზრდილი (დაბალი) გარემოს ტემპერატურა;
- ზ) სიმალიდან ვარდნა;
- თ) ბიჯური ძაბვა (8 მეტრის რადიუსში);
- ი) სტატიკური ძაბვა;(კორპუსზე , დამიწების არსებობა)
- კ) ხმაურის გაზრდილი დონე;
- ლ) მტვერი და აირები, რომლებიც გამოიყენება სამუშაო ადგილის ჰაერში ნივთიერებების წარმოებაში.

6. დამცავი ტანსაცმლისა და სხვა პირადი დამცავი აღჭურვილობის გაცემის სტანდარტების შესაბამისად, ელექტრიკოსს ეძლევა:

- ა) სპეციალური ტანსაცმელი;
- ბ) სპეც. ფეხსაცმელი;
- გ) ხელთათმანი კომბინირებული;
- დ) ჩაფხუტი;
- ე) ჩექმა დიელექტრიკული – სამორიგეო;
- ვ) ხელთათმანი დიელექტრიკული – სამორიგეო;
- ზ) დამცავი სათვალე

თ) დამსაქმებელი ვალდებულია შეცვალოს სამუშაო ტანსაცმელი, უსაფრთხოების ფეხსაცმელი და სხვა პირადი დამცავი მოწყობილობა, რომლებიც გახდა გამოუსადეგარი .

მუხლი 2. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დაწყებამდე.

1. შეამოწმეთ პირადი დამცავი აღჭურვილობის მდგომარეობა.
2. შეამოწმეთ ხელმისაწვდომობა: ელექტრო პანელების გასაღებები, მართვადი პანელები, საოპერაციო დოკუმენტაცია.
3. შეამოწმეთ ხელსაწყოები, მოწყობილობები, კოლექტიური და პირადი დამცავი საშუალებები.
4. ხელსაწყოს გადასატანად გამოიყენება სპეციალური ჩანთა ან პორტატული ყუთი. იკრძალება ინსტრუმენტის ჯიბეში ტარება.
5. დარწმუნდით, რომ სამუშაო ადგილზე საკმარისი განათებაა, არ არის ელექტრული ძაბვა სარემონტო მოწყობილობებზე.
6. მაღალი საფრთხის სამუშაოების შესრულება ხორციელდება სამუშაოზე დაშვების ნებართვის შესაბამისად, სრული ინსტრუქტაჟის შემდეგ.

7. დაატოვებინეთ უცხო პირებს სამუშაო ადგილი და გაათავისუფლეთ სამუშაო ადგილი უცხო მასალებისა და სხვა საგნებისგან, შემოღობეთ სამუშაო ადგილი და დააყენეთ კოლექტიური დაცვის საშუალებები (ბაგირები ან მაფრთხილებელი ლენტი).

8. აღჭურვილობის, ხელსაწყოების, მოწყობილობების, პირადი ან კოლექტიური დამცავი მოწყობილობების გაუმართაობის დადგენისთანავე, სამუშაო ადგილზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე მუშაობის დროს, აცნობეთ ხელმძღვანელს და ნუ დაიწყებთ თვითნებურად პრობლემების მოგვარებას.

9. იკრძალება - გაუმართავი, ვადაგასული ინსტრუმენტების, მოწყობილობების, პერსონალური ან კოლექტიური დამცავი მოწყობილობების გამოყენება.

10. ერთობლივი მუშაობის განსახორციელებლად, უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი, რათა უზრუნველყონ ქმედებების კოორდინაცია და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 3. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს.

1. თუკი შეამჩნიეთ სხვა თანამშრომლის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, არ დარჩეთ გულგრილი, გააფრთხილეთ მუშაკი საშიშროების შესახებ.

2. ნუ დაუშვებთ სხვა პირებს, სამუშაო ადგილებზე, ნუ გადაიტანთ ყურადღებას სხვა გარემოებაზე, გახსოვდეთ ელექტრო შოკის საშიშროების შესახებ.

3. ელექტრო მოწყობილობებში აღმოჩენილი გაუმართაობის შემთხვევაში, აღმოფხვრით გაუმართაობები პრიორიტეტის შესაბამისად, ან ხელმძღვანელის მითითებით, თუ ეს არ გამოიწვევს ელექტრო შოკს ან პერსონალის დაზიანებას.

4. სარემონტო სამუშაოებისთვის ელექტრული აღჭურვილობის გამოყენებამდე, მინიმუმ ორ ადგილზე გაიტანეთ მაგისტრალური ძაბვა და ამოიღეთ საყრდენები მცველები. ელექტრომოწყობილობის მოხსნა უნდა მოხდეს, ისე რომ დარწმუნდეთ არ არსებობს ძაბვა, ჩამოკიდეთ პლაკატი "ნუ ჩართავთ - ხალხი მუშაობს!" ჩართვის ან კონტროლის დილაკზე.

5. ელექტრული აღჭურვილობის დაშლა და აწყობა უნდა განხორციელდეს სამუშაო მაგიდეზე, თაროებზე, სტენდებზე, სპეციალურ სამუშაო სტენდებზე, რაც უზრუნველყოფს მათ სტაბილურ მდგომარეობას.

6. ამოპრესვისას და ჩაპრესვისას, გამოიყენეთ სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სამუშაოს უსაფრთხოებას.

7. უზრუნველყავით შესაკეთებელი ნაწილის განთავსება დამჭერ მოწყობილობებში. დაჭრის, გასუფთავების და სხვა სამუშაოს შესრულებისას, რომელშიც მასალის ნაწილაკები შეიძლება მოძვრეს, გამოიყენეთ სათვალეები ან ნიღაბი.

8. შედუღება უნდა გაკეთდეს უსაფრთხოების სათვალეების გამოყენებით, ჩართული ვენტილაციით.

9. ელექტრული აღჭურვილობის ან დანადგარის რემონტის შემდეგ, იგი უნდა იყოს საიმედოდ დაფიქსირებული და დამიწებული (ნულოვანი), ხოლო მბრუნავი და მოძრავი ნაწილები დახურული დამცავი ფარებით.

10. პრობლემების გადასაჭრელად განაცხადის მიღებისთანავე შეიტანეთ შემდეგი ჩანაწერი ოპერატიულ ჟურნალში:

ა) განცხადების მიღების დრო;

ბ) იმ პირის სახელი და თანამდებობა, რომელმაც წარმოადგინა განცხადება;

გ) გაუმართაობის წარმოშობის ადგილი და ტიპი;

დ) ელექტროენერჯის გამორთვის საჭირო ტექნიკური ზომების განხორციელება;

ე) პრობლემების მოგვარების დასრულების დრო და მუშაობაში ჩართული აღჭურვილობა.

11. განახორციელეთ ელექტრული აღჭურვილობის შემოწმება და სათანადო ყურადღების მიქცევა ტექნიკის სწორად მუშაობის რეჟიმზე, მდგომარეობასა და მომსახურებაზე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ავტომატურ ამომრთველის. კარადები, მართვის პანელები საიმედოდ უნდა იყოს დახურული. გამოცდების შედეგები აღირიცხება ჩანაწერით ჟურნალში.

12. ელექტრო მოწყობილობების შეკეთების და მომსახურების დროს, გამოიყენეთ დამცავი მოწყობილობები (ხელსაწყო იზოლირებული სახელურით, დიელექტრიკული ხელთათმანები, ძაბვის მაჩვენებელი) რომელიც უნდა იყოს გამოყენებადი და ტესტირებული ელექტრო ლაბორატორიაში.

13. დამცავ აღჭურვილობას უნდა ჰქონდეს სერიული ნომერი და მისი ტესტირების თარიღი. ატარეთ ინსტრუმენტი დახურულ ჩანთაში ან ყუთში. ელექტრო მოწყობილობების რემონტი და ტექნიკური მომსახურების დროს, რომელიც იმყოფება ძაბვის ქვეშ, სამუშაო უნდა განახორცილოს ორმა მუშაკმა, რომელთაც გააჩნიათ ელექტრული უსაფრთხოების ჯგუფი, სულ მცირე, III კატეგორიის.

14. დროებით გათიშული მოწყობილობის ჩართვამდე შეამოწმეთ და დარწმუნდით, რომ იგი მზად არის ძაბვის მისაღებად და უსაფრთხო მდგომარეობაშია ჩართვის ან გაშვების შესახებ.

15. მუშაობის დროს, მუდმივად შეინარჩუნეთ წესრიგი სამუშაო ადგილზე, თავიდან აიცილოთ ის, რომ არ შეეჯახოთ უცხო საგანს და არ წაბორძიკდეთ.

16. მცველების შეცვლის დროს, თქვენ უნდა:

ა) გათიშოთ ძაბვა;

ბ) გამოიყენოთ უსაფრთხოების სათვალეები და დიელექტრიკული ხელთათმანები, დადექით დიელექტრიკულ ხალიჩაზე;

გ) სპეციალური ხელსაწყოთი მოხსენით დამცველები (მცველები);

17. დაუშვებელია არაკალიბრირებული ხელსაწყოების გამოყენება.

18. ელექტრული განათების მოწყობილობის შეკეთებისას, ტერიტორიაზე, რომელზეც მიმდინარეობს სამუშაოები, უნდა მოხდეს ძაბვის გამორთვა და დამიწება. ფლუორესცენტური ან ვერცხლისწყლის დაბალი და მაღალი წნევის ნათურების შეცვლისას აუცილებლად გამოიყენეთ უსაფრთხოების დამცავი სათვალე.

19. არსებულ ელექტრულ დანადგარებში მუშაობა ხორციელდება ელექტროენერჯეტიკის ინჟინერის ნებართვის ან ბრძანების შესაბამისად.

20. ენერჯეტიკის ინჟინრის არარსებობის შემთხვევაში, ელექტრიკოსი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სამუშაოების ჩამონათვალით, რომლებიც დამოუკიდებლად ხორციელდება.

მუხლი 3. ელექტრული აღჭურვილობის შეკეთება 1000 ვოლტამდე.

1. ელექტრული აღჭურვილობის გათიშვა და ჩართვა ხორციელდება იმ პირთა მოთხოვნის შესაბამისად, რომელთაც უფლება აქვთ წარადგინონ განაცხადები ელექტრული აღჭურვილობის გათიშვასა და ჩართვაზე, სავალდებულო ჩანაწერით საოპერაციო ჟურნალში.
2. ეთანოლთან მუშაობისას სამუშაო ზედაპირების გაწმენდისას, გახსოვდეთ, რომ ეთანოლი არის შხამი!
3. სპირტი შეინახეთ ცეცხლგამძლე კონტეინერში მჭიდროდ ჩასაკეტი სახურავით. აკრძალულია სპირტის ნებისმიერი რაოდენობის დატოვება ღია კონტეინერებში მუშაობის შემდეგ ან ღამით, ნარჩენი სპირტი ბარდება საწყობში.
4. სამუშაო ზედაპირების ბენზინით გაწმენდისას, გამოყენებულ უნდა იქნას რეზინის ხელთათმანები გახსოვდეთ, რომ ბენზინი ფეთქებადია, ხანძარსაშიშია და ტოქსიკურია.
5. სამუშაოები ხორციელდება სამუშაო ადგილზე, რომელიც აღჭურვილია სავენტილაციო სისტემით და იატაკზე დაგებულია დიელექტრიკული ხალიჩა სამუშაოს დროს, ნუ დაუშვებთ ბენზინის დაღვრას და მის კანთან კონტაქტს. მუშაობის დროს, ნებადართულია გამოიყენოთ არაუმეტეს 0.5 ლიტრი ბენზინი.
6. ბენზინით მუშაობის დასრულების შემდეგ, თქვენ უნდა:
 - ა) დარჩენილი ბენზინი შეინახოთ ლითონის კონტეინერში მჭიდროდ დახურული ჩამკეტით და ჩააბაროთ საწვავის და საპოხი მასალების საწყობში;
 - ბ) გაასუფთავეთ სამუშაო ადგილი და ხელსაწყო;
 - გ) დაიბანეთ ხელები და სახე თბილი წყლით და საპნით.

მუხლი 4. უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციებში.

1. ავარიის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მიიღე ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოფხვრის მიზნით.
2. ელექტრიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც მოულოდნელი ძაბვის გათიშვა ხდება, იგი შეიძლება კვლავ ჩაერთოს გაფრთხილების გარეშე. ელექტრო შოკის შემთხვევაში აუცილებელია დაზარალებულის დაუყოვნებლივი განთავისუფლება ძაბვის ზემოქმედებისგან.
3. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში აუცილებელია ბსუ-ს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და ხელმძღვანელობის ინფორმირება და უნდა შევუდგეთ ხანძრის ჩაქრობას ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.
4. ყველა შემთხვევაში, ავარიული/საგანგებო სიტუაციების წარმოშობის დროს, უნდა იქნას მიღებული ყველა ტექნიკური ზომა სამუშაო ადგილის და დასაქმებულთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
5. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დასასრულებისას.
 - 5.1. გათიშეთ ელექტრო მოწყობილობები, ელექტრული ხელსაწყოები, ამწევი მანქანები ქსელიდან.
 - 5.2. დაალაგეთ ხელსაწყოები, მოწყობილობები, დამცავი მოწყობილობები მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას.

5.3. მოიყვანეთ წესრიგში სამუშაო ადგილი. ამოიღეთ ხელსაწყოები და დამცავი მოწყობილობები განათავსეთ შენახვისთვის განკუთვნილ სათავსოებში. ამოიღეთ გამაფრთხილებელი ნიშნები და ბარიერები, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანეთ ოპერატიულ ჟურნალში. ნაგავი, მავთულის ნარჩენები, და ა.შ. განათავსეთ შესაბამის ნაგვის ურნაში.

5.4. მოიყვანეთ თავი წესრიგში.

5.5. სამუშაო დღის განმავლობაში გამოვლენილი ყველა დეფექტების დარღვევის შესახებ აცნობეთ თქვენს სამუშაოს ხელმძღვანელს ან დაწესებულების ხელმძღვანელს.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს) და
მათი გამოყენების ინსტრუქტაჟი

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალება - საშუალებები, ურთიერთჩანაცვლებადი კომპონენტები და შემადგენელი სისტემები, რომელიც დაპროექტებული და დამზადებულია ადამიანის მიერ სატარებლად ან დასაჭერად/დასაკავებლად და განკუთვნილია ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე რისკის თავიდან ასარიდებლად.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალება ძირითადად გულისხმობს იმ მოწყობილობებს, რომელიც გამოიყენება უშუალოდ იმ ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვისთვის, რომელიც მას იყენებს.

3.

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტიპებია:

ა) თვალებისა და სახის დაცვა;

ბ) ვარდნისგან დაცვა;

გ) რესპირატორული დაცვა;

დ) თავის ტრამვებისგან დაცვა;

ე) ფეხის ტრამვებისგან დაცვა;

ვ) სმენის დაცვა;

ზ) ხელის ტრამვებისგან დაცვა;

თ) სხეულის ტრამვებისგან დაცვა.

4. თვალებისა და სახის დამცავი საშუალება მომხმარებელს აუცილებლად უნდა იცავდეს ქიმიური, გარემოს, რენტგენოლოგიური ან მექანიკური გამაღიზიანებელი საშიშროებებისგან, როგორც არის ქვიშა, ნისლი, მტვერი, ბზინვარება. ეს საშუალებებია: დამცავი სათვალეები, სპეციალური ჩაფხუტები, დამცავი ფარები.



5. ვარდნისგან დამცავმა საშუალებამ მომხმარებელს თავიდან უნდა ააცილოს ნებისმიერი სახის სიმალიდან ან ამაღლებული ადგილიდან გადმოვარდნის რისკი. ეს საშუალებებია: ვარდნისგან დამჭერი სისტემები, სხეულის ეკიპირება, ვარდნის საწინააღმდეგო ღვედები და ქამრები, სამაშველო ამწევი სისტემა, ენერჯის შთანთქმის საშუალებები.



6. ვარდნის საწინააღმდეგო ღვედები და ქამრები უნდა ეკვროდეს სხეულს და დარეგულირებული იყოს შესაბამისი სარეგულირებო საშუალებებით ისე, რომ ვარდნის შემთხვევაში დაიჭიროს სხეული და არ მოხდეს სხეულის ამოვარდნა.

7. რესპირატორები მომხმარებელს უნდა იცავდეს მტვრისგან, ნისლისგან, კვამლისგან, მომწამლავი აირებისგან, ორთქლისგან, სხვადასხვა ტიპის სპრეისგან, რომელიც შეიძლება იყოს საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის და შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადებები. რესპირატორები იყოფა სამ ძირითად ტიპად: პირველი ტიპის რესპირატორები მომხმარებელს იცავს უშუალოდ ჰაერში არსებული სახიფათო ნაწილაკებისგან და ახდენს ჰაერის ფილტრაციას ქიმიური და მავნე აირადი

ნივთიერებებისგან, მეორე ტიპის რესპირატორი ახდენს სრულ იზოლაციას ატმოსფეროსგან და მესამე ტიპი მოიცავს ყველა რესპირატორს, რომელსაც იყენებენ მყვინთავები.



8. ჩაფხუტები მომხმარებელს უნდა იცავდეს თავის ტრამვებისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაცემისგან, ელექტრო გადაცემებთან კონტაქტისგან, სხვადასხვა ობიექტებისგან, რომლის მოხვდერამაც შეიძლება გამოიწვიოს თავის მძიმე დაზიანება.



9. დამცავი ფეხსაცმელები მომხმარებელს იცავს ისეთი საფრთხეებისგან, როგორც არის მძიმე საგნები, ბასრი საგნები, სველი და მოლიპული ზედაპირები, გამღვალი ლითონები, ცხელი ზედაპირები და ელექტრული საფრთხეები.



10. ყურის დამცავმა საშუალებებმა მომხმარებელი უნდა დაიცვას სმენის დაზიანებისგან, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული მაღალი ხმაურის ზემოქმედებისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სმენის დაქვეითება, ასევე ფსიქოლოგიური სტრესი და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედება. ეს საშუალებებია: ყურის დამცავი საცობები, სმენის დამცავი ყურის სარქველები



11. დამცავი ხელთათმანები და სხვა ხელის დამცავი საშუალებები მომხმარებელს იცავს ისეთი საფრთხეებისგან, როგორც არის ჭრილობები, ალერგიული რეაქცია, ქიმიური დამწვრობა, თერმული დამწვრობა, მაღალი და დაბალი ტემპერატურის მქონე ზედაპირები.



12. სპეციალური ეკიპირება მომხმარებელს უნდა იცავდეს სხეულის ისეთი საფრთხეებისგან, როგორც არის სითბოს და რადიაციის ზემოქმედება, ცხელი მეტალები, სხვადასხვა სითხეები (რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხეულის მძიმე დაზიანება), სახიფათო მასალები და ნარჩენები. დამცავი საშუალებებია: სამაშველო ყილეტები, კონკრეტული კლიმატური პირობებისთვის განკუთვნილი ტანსაცმელი, მაღალი ხილვადობის (ამრეკლზედაპირიანი) ტანსაცმელი, ეკიპირება და სხვა.



13. ინდივიდუალური დაცვის საშუალებაში არ შედის:

ა) ჩვეულებრივი სამუშაო ტანსაცმელი ან ფორმა, რომელიც არ არის შექმნილი მომხმარებლის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;



ბ) მოტოციკლეტებისა და მოპედებისთვის განკუთვნილი ჩაფხუტები და ხედვის ეკრანები.



გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია თავდაცვისთვის, გარდა იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებისა, რომელიც განკუთვნილია სპორტული აქტივებისთვის. (მაგალითად: ყინულის ჰოკეის დამცავი აღჭურვილობა, სხვადასხვა სპორტში გამოყენებადი ფეხის და ხელის დამცავი აღჭურვილობა და ა.შ.)



დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია შეიარაღებული ძალების გამოყენებისთვის ან კანონის და წესრიგის დასაცავად (მათ შორის არ შედის თავდაცვისთვის განკუთვნილი აეროზოლები და იარაღი)

ე) პორტატული მოწყობილობები საფრთხეების დასადგენად და აღმოსაჩენად, როგორცაა რადიაციის ან ბუნებრივი აირის დეტექტორი. თუმცა, თუ მსგავსი დეტექტორი ინკორპორირებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებაში მაშინ განიხილება მის ნაწილად.



ვ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც დამზადებულია პირადი გამოყენებისთვის, რათა უზრუნველყოს დაცვა: არაექსტრემალური ატმოსფერული პირობებისგან; ჭურჭლის რეცხვის დროს სინესტისა და წყლისგან;



ზ) ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც გამოიყენება საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე;



14. ყველა ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა იყოს მორგებული სხეულზე.

მექანიკური ინსტრუმენტების მოხმარების წესი

1. მუშაობის დაწყების დასაქმებულმა დათვალიერების გზით უნდა შეამოწმოს:

ა) მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და სამარჯვების არსებობა და წესიერულობა. ინსტრუმენტი მჭიდროდ უნდა იყოს ჩამოცმული ლითონის რგოლებით შემოჭრილ სახელურზე, სახელურს უნდა ჰქონდეს ოვალური ფორმა და თანდათან მსხვილდებოდეს თავისუფალი ბოლოსაკენ, სახელურის ზედაპირზე დაუშვებელია ნაჯაოების (ამონატეხების), ანახლეჩებისა და როკების არსებობა;

ბ) სამუშაო ინსტრუმენტების გადამლობი (შემკავებელი) დამცავი გარსაცმების არსებობა და წესიერულობა;

გ) მოწყობილობის, სამარჯვების, ინსტრუმენტებისა და დამცავი საშუალებების დათვალიერების შედეგად შემჩნეული ყველა ნაკლისა და უწესიერობის შესახებ პერსონალმა უნდა აცნობოს სამუშაოთა მწარმოებელს და არ უნდა შეუდგეს მუშაობას მათ აღმოფხვრამდე.

2. ღია კბილებიანი და პირებიანი ინსტრუმენტების გადატანა დასაშვებია სპეციალური ბულებით, აგრეთვე ჩანთებით ან ყუთებით. დაუშვებელია ინსტრუმენტების დალაგება დაზგაზე პირით ზემოთ.

3. ინსტრუმენტი, რომელსაც აქვს გაღესილი პირი ან წვეტი (სატეხი, საჭრეთელი, სარანდი ინსტრუმენტების დანები, სადგისი, ბურღი), სხვა პირს შეიძლება გადაეწოდოს მხოლოდ სახელურით წინ.

4. ხერხით მასალების დახერხვისას ისინი უნდა დალაგდეს მყარ ფუძეზე, ამასთან, ხელის ან თითის მიღება პროპილთან (განახერხთან) ხერხის მიმართულების მისაცემად დაუშვებელია.

5. ფიცრების ან ძელების კუთხით გადასახერხად აუცილებელია ხოკერის (მილის) სახით წინასწარ დამზადებული შაბლონის გამოყენება, რომელშიც ხერხვის ხაზები დანიშნულია პროპილებით (განახერხებით).

6. საჭრეთელით მუშაობისას არ შეიძლება დასამუშავებელი მასალის ხელით დაჭერა საჭრეთელის პირის მოძრაობის გზაზე, აგრეთვე ჭრა თავისკენ და კიდულად, დეტალის მკერდზე მიყრდნობით.

7. ინსტრუმენტების (ჩაქუჩი, სანგი და სხვა) ხის სახელურები გლუვად უნდა იყოს დამუშავებული და საიმედოდ დამაგრებული.

8. ქანჩის გასაღებები შერჩეული უნდა იქნეს ქანჩების, ჭანჭიკების ზომების მიხედვით.

არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი ზომების ქანჩის გასაღებები ლითონის ფირფიტების ჩადებით ქანჩისა და გასაღების წახნაგებს შორის. აკრძალულია ქანჩის გასაღებების დაგრძელება სხვა გასაღებით ან მილით.

9. ინსტრუმენტების (ქაფჩა, ჩამჩა და სხვა) ხის სახელურები უნდა იყოს გლუვად დამუშავებული და საიმედოდ დამაგრებული.

10. მუშაობის დაწყებამდე დასაქმებულმა უნდა შეამოწმოს ინსტრუმენტების (წერაქვები, საგნები, ნიჩბები, სოლები, ძალაყინები) გამართულობა.

11. ხელის ინსტრუმენტი მჭიდროდ უნდა იყოს დაგებული მაგარი ჯიშის მშრალი ხის გლუვად დამუშავებულ სახელოურზე და ჩამაგრებული სანგებში ან წერაქვებში მუხის ან ლითონის სოლებით, ნიჩბებში - სამსჭვალეებით (შურუპებით). ჩაქუჩებისა და სანგების საცემლები უნდა იყოს გლუვი და ოდნავ ამოზნექილი. სოლების კეფები (საცემლები) უნდა იყოს სწორი და გლუვი მონატეხების, ნაჯაოების, ბზარებისა და ხიწვების გარეშე. სოლებით მუშაობის დროს სანგების დახმარებით გამოყენებულ უნდა იქნას სოლები, რომელთაც აქვთ სოლდამჭერები სახელოურის სიგრძით არანაკლები 70 სმ-სა. ფოლადის ძალაყინები უნდა იყოს მსხვილი კვეთის და ჰქონდეს ერთი ბოლო ნიჩბოვანი ფორმის, მეორე კი ოთხწახნაგოვანი.
12. აკრძალულია იმ ხელის ინსტრუმენტების გამოყენება, რომელთაც აქვთ ამონატეხი, მუშა ბოლოების ანახლეჩები, ხიწვები, ბზარები და მახვილი წიბოები.
13. აკრძალულია დეფექტების მქონე ხელის ინსტრუმენტების გამოყენება.

კიბის უსაფრთხოდ გამოყენება

მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

1. გამოიყენეთ მხოლოდ ქარხნული წარმოების კიბე.
2. სანამ კიბეს გამოიყენებთ, განიხილეთ ალტერნატიული საშუალება (მობილური ხარაჩო).
3. კიბე გამოიყენეთ მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
4. კიბეს საყრდენ ძელოდან აღენიშნება მწარმოებლის მიერ დატანილი ეტიკეტი (მაქსიმალური ტვირტის გამძლეობა, გამოყენების წესი და ა.შ).
5. კიბე საჭიროა განთავსდეს მყარ და სწორ ზედაპირზე.
6. დარწმუნდით, რომ არ არსებობს კიბის გასრიალების საფრთხე.
7. გამოყენებამდე, განახორციელეთ კიბის ვიზუალური შემოწმება.
8. დარწმუნდით, რომ კიბის ფიქსატორი გამართულია.
9. დარწმუნდით, რომ გამხსნელ ჩამკეტი ბურკეტი გამართულია.
10. კიბეს საჭიროა გააჩნდეს მოცურების საწინააღმდეგო დაბოლოებები.
11. კიბის გამოყენების შემდეგ, დააბრუნეთ კიბე დაკეცილ მდგომარეობაში და შეინახეთ საცავში/საწყობში.
12. აუცილებელია შეინარჩუნოთ კონტაქტის სამი წერტილი, მაგალითად:
 - ა) ორი ფეხი და ერთი ხელი;
 - ბ) ორივე ფეხი სადგამზე და ტანი ეყრდნობა კიბეს (კიბე აუცილებელია იყოს დამაგრებული).



13. კიბე დადგით სათანადო კუთხით სიმაღლის შესაბამისად, კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ის მანძილით.

14. კიბის ზედა ნაწილი მიმაგრებული უნდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს.

15. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს და გამაგრდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა.



16. მისასვლელ არეს, კიბის საფეხურები საჭიროა ასცდეს 2-3 საფეხურით (იხელმძღვანელებსურათში მოცემული მაგალითით).



17. ღია ელექტროსადენებთან ახლოს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიალექტიკური კიბეები.

18. კიბეზე ხელსაწყოებით სარგებლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ ხელსაწყოების ქამარი.

გასაშლელი კიბის გამოყენების წესები



არ გამოიყენოთ როგორც მისადგმელი კიბე



აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა



არ გამოიყენოთ ხარაჩოს საყრდენებად



არ დადგა კიბე არასწორ ზედაპირზე



სასტიკად აკრძალულია დამცავ სახელურზე ასვლა



არ გადაინარო რომელიმე მხარეს



არ იმუშაოთ ღია ფანჯარასთან ახლოს



არ იმუშაოთ ჩაუკეტავ კართან ახლოს



შემოფარგლე სამუშაო არეალი და თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ წიადაგზე/იატაკზე უნდა დადგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთავს კიბის დაცურებას

19. აკრძალულია:

- ა) კუსტარული კიბის გამოყენება;
- ბ) ქარხნული კიბის კუსტარულად მოდიფიკაცია/გადაკეთება;
- გ) კიბის არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- დ) კიბის მძიმე საგნების ატანა-ჩამოსატანად გამოყენება;



- ე) ისეთი კიბის გამოყენება, რომელსაც აკლია ნაწილები/საფეხურები;
- ვ) კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა;

ზ) კიბეზე მძიმე სამუშაოს შესრულება;

თ) პერიმეტრზე დასაკეცი კიბის გაშლილ მდგომარეობაში გადაადგილება / გადატანა.



ინსტრუქტაჟი N12

(დაემატა 17.12.2024 წლიდან)

ინსტრუქტაჟი-ტვირთის ხელით აწევა

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

- აკრძალულია 22 კგ-ზე მძიმე ტვირთის/საგნის აწევა ერთი ადამიანის მიერ.
- ტვირთის/სიმძიმის ხელით აწევა-გადაადგილება დაკავშირებულია შემდეგ რისკფაქტორებთან:
 - სახსრებისა და კუნთოვანი სისტემის დაჭიმულობა/დაზიანება;
 - ხერხემლის/მვალკუნთოვანი სისტემის დაზიანება;
 - დაბეჭილობა/მოტეხილობის მიღება.
- უპირატესობა მიანიჭეთ დამხმარე მექანიზმების/ტვირთის ამწე-გადასაადგილებელი მექანიზმის/მოწყობილობის გამოყენებას.
- დასაქმებული შესაძლოა დაზიანდეს თუ:
 - მისი ფიზიკური მახასიათებლები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს/დავალებას;
 - არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა (ტვირთის ხელით უსაფრთხოდ აწევის ტექნიკა);
 - დასაქმებული იყენებს შეუსაბამო პირად დამცავ აღჭურვილობას/სამოსს;
 - შესასრულებელი სამუშაოს პერიმეტრი არის უსწორმასწორო (არსებობს ფეხის წამოკვრის/წაბორძიკების რისკი);
- ზედაპირი არის სრიალა

6. ზედაპირი არამყარია
7. საგანს/ტვირთს აღენიშნება ბასრი კუთხე/ზედაპირები
8. ტვირთი არის დიდი მოცულობის
9. ტვირთს გააჩნია მოძრავი ნაწილაკები/ტვირთი არასტაბილურია
10. ტვირთის აწევის ინტენსივობით
11. ტვირთის აწევა-გადატანა ხორციელდება დახრილ მდგომარეობაში/სხეულის არამდგრად პოზიციაში / ზედა სხეულის შემობრუნებულ პოზიციაში
12. ტვირთი აბრკოლებს მხედველობის არეალს
13. არ ხორციელდება აწევით სამუშაოების შუალედებში შესაბამისი შესვენება
14. არ არის შესაბამისი გარემო პირობები- განათება, ამინდი, ტემპერატურა, ვენტილაცია და ა.შ

მუხლი 2. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყების წინ

1. გაითვალისწინეთ! აკრძალულია 22 კგ-ზე მძიმე ტვირთის/საგნის აწევა ერთი ადამიანის მიერ.
2. დასაქმებულს ეკრძალება მუშაობა/სამუშაოზე გამოცხადება ნაბახუსევი, ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში.
3. დასაქმებულმა უნდა განუცხადოს დამსაქმებელს/შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელს თუ აღენიშნება რაიმე სახის ფიზიკური ტრამვა ან და შესაძლოა სიმძიმის აწევამ გამოიწვიოს მისთვის ჯანმრთელობის დაზიანება/გაუარესება (გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, წარსულში გადატანილი ოპერაცია, თანმდევი ტრამვა, დაჭიმულობა, მოუშუშებელი ტრამვა და ა.შ).
4. არ შეუდგეს სამუშაოს იმ შემთხვევაში თუ იგი შეუძლოდ გრძნობს თავს.
5. მოისმნოს წინასამუშაო ინსტრუქტაჟი ყოველი სამუშაოს დაწყების წინ.
6. გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:
 - ა) დამცავი ჩაფხუტი;
 - ბ) ამრეკლხაზიანი სამოსი;
 - გ) დამცავი ხელთათმანი;
 - დ) დამცავი ფეხსაცმელი.
7. დამატებითი დამცავი აღჭურვილობა გამოიყენება შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.
8. სიმძიმის ხელით აწევა განახორციელეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს სხვა ალტერნატივა.

მუხლი 3. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს

1. გამოიყენეთ პირადი დამცავი აღჭურვილობა.
2. აწვევის განხორციელებამდე ფეხები განათავსეთ ერთანეთისგან დაშორებით (ერთმანეთზე მიდების გამორიცხვით), რათა აწვევის პროცესში შეინარჩუნოთ ბალანსი.
3. ტვირთის ასაღებად დახრა განახორციელეთ მუხლებში მოხრით და არა წელში გადახრით.
4. ზურგი/წელი შეინარჩუნეთ სწორ პოზიციაში.
5. ხელების პოზიცია შეინარჩუნეთ წელთან რაც შეიძლება ალბო მდგომარეობაში.
6. ტვირთის აწევა განახორციელეთ ფეხების დატვირთვით იხილეთ ტვირთის ხელით აწვევის უსაფრთხო ტექნიკა.



მუხლი 4. უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციაში

1. ტრამვის მიღების შემთხვევაში (როგორც სახის დაზიანებაც არ უნდა იყოს) შეაჩერეთ აღნიშნული სამუშაო. მიმართეთ დამსაქმებლის და შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელს.
2. წელის/ტანის/სახსრების ტკივილის შეგრძნების შემთხვევაში არ ეცადოთ სიმძიმის აწევას, განმეორებითი მოძრაობის შემთხვევაში შესაძლებელია ტკივილის გამეორება და ტრამვს მიღება, რომელიც შეიცავს როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის, ასევე ქონების დაზიანებას.

სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის
გამოსაყენებელ ნიშნებთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი

1. სამუშაო სივრცესა და სამუშაო ადგილზე, სადაც საფრთხეების თავიდან აცილება ან, მისი რისკის შეფასების საფუძველზე, დასაშვებ დონემდე შემცირება კოლექტიური დაცვის საშუალებების ან სამუშაოს ორგანიზების ღონისძიებების, მეთოდების ან პროცედურების გამოყენებით შეუძლებელია, უნდა განთავსდეს უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ამკრძალავი, გამაფრთხილებელი, სავალდებულო, საევაკუაციო გასასვლელის ან პირველადი სამედიცინო დახმარების და ინფორმაციის მიმწოდებელი ნიშნები.

2. აბრა/ფირნიშები განთავსებული უნდა იყოს ხედვის არეალის შესაფერის სიმაღლეზე და მათი შესაბამის ადგილზე განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ბარიერი. ზოგადი საფრთხის შემთხვევაში აბრა/ფირნიშები კონკრეტულ ტერიტორიაზე შესასვლელთან ან კონკრეტული საფრთხის წყაროს ან ობიექტის უშუალო სიახლოვეს უნდა განლაგდეს. გარდა ამისა, აბრა/ფირნიშები კარგად განათებულ, ადვილად მისაღწომ და გამოსაჩენ ადგილებზე უნდა განთავსდეს.

3. ბუნებრივი სინათლის ნაკლებობისას გამოყენებული უნდა იქნეს ფოსფორესცენციური ფერები, სინათლის ამრეკლავი მასალები ან ხელოვნური განათება.

4. აბრა/ფირნიში აღებული უნდა იქნეს ადგილიდან, თუ ის საფრთხე, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა, აღარ არსებობს.

5. გამოსაყენებელი აბრა/ფირნიშების სახეები

1. ამკრძალავი ნიშნების მახასიათებლები:

ა) მრგვალი ფორმა;

ბ) თეთრ ფონზე დატანილი შავი პიქტოგრამა წითელი კიდეებითა და დიაგონალური ხაზით (წითელი ფერი ნიშნის მინიმუმ 35%-ს უნდა ფარავდეს).



მოწევა აკრძალულია



აკრძალულია მოწევა და ღია ცეცხლი



ქვეითად მოსიარულეთათვის შესვლა აკრძალულია



წყლით ჩაქრობა აკრძალულია



წყლის სასმელად გამოყენება აკრძალულია



უცხო პირთა შესვლა აკრძალულია



საწარმოო დანიშნულების



2. გამაფრთხილებელი ნიშნების მახასიათებლები:

ა) სამკუთხედი ფორმა;

ბ) ყვითელ ფონზე დატანილი შავი პიქტოგრამა შავი კიდეებით (ყვითელი ფერი ამ ნიშნების მინიმუმ 50%-ს უნდა ფარავდეს).



აალებადი მასალა ან მაღალი ტემპერატურა



ფეთქებადი მასალა



ტოქსიკური მასალა



კოროზიული მასალა



რადიოაქტიური ნივთიერება



დაკიდული ტვირთი



საწარმოო დანიშნულების მანქანა



ფრთხილად ელექტროძაბვა



ზოგადი საფრთხე



ლაზერული გამოსხივება



მჟანგავი ნივთიერება



არამაიონიზირებელი გამოსხივება



ძლიერი მაგნიტური ველი



დაბრკოლებები



ვარდნის საშიშროება



ბიოლოგიური საფრთხე



დაბალი ტემპერატურა

3. სავალდებულო ნიშნების მახასიათებლები:

ა) მრგვალი ფორმა;

ბ) ლურჯ ფონზე დატანილი თეთრი პიქტოგრამა (ლურჯი ფერი ნიშნის მინიმუმ 50% უნდა ფარავდეს).



თვალის დამცავის გამოყენება სავალდებულოა



დამცავი ჩაფხუტის გამოყენება სავალდებულოა



ყურის დამცავი საშუალების გამოყენება სავალდებულოა



სასუნთქი სისტემის დამცავი საშუალების გამოყენება სავალდებულოა



დამცავი ფეხსაცმლის გამოყენება სავალდებულოა



დამცავი ხელთათმანების გამოყენება სავალდებულოა



დამცავი კომბინიზონის გამოყენება სავალდებულოა



სახის დამცავის გამოყენება სავალდებულოა



დამცავი ღვედების გამოყენება სავალდებულოა



საფეხმავლო გზა



ვალდებულების გამომხატავი ზოგადი აბრა (სადაც საჭიროა, მას სხვა ნიშანი უნდა ახლდეს თან)


4. საევაკუაციო გასასვლელების ან პირველადი სამედიცინო დახმარების აღსანიშნო ნიშნების მახასიათებლები:

ა) მართკუთხა ან კვადრატული ფორმა;


ბ) მწვანე ფონზე დატანილი თეთრი პიქტოგრამა (მწვანე ფერი ნიშნის მინიმუმ 50% უნდა ფარავდეს).



საევაკუაციო გასასვლელი



აქეთ (დამატებითი აბრა/ფირნიში)



პირველი დახმარების პუნქტი



უსაფრთხო აპი



თვალმწიფობილობა



საგანგებო სამედიცინო დახმარებისთვის ან ევაკუაციისთვის

5.5. ხანძარსაწინააღმდეგო ნიშნების მახასიათებლები:

ა) მართკუთხა ან კვადრატული ფორმა;

ბ) წითელ ფონზე დატანილი თეთრი პიქტოგრამა (წითელი ფერი ნიშნის მინიმუმ 50% უნდა ფარავდეს).



სახანძრო მილი



სახანძრო კიბე



საგანგებო სახანძრო ტელეფონი



ცეცხლმაქრი

აქვთ (დამატებითი აბრა/ფირნიში)



6. ბარიერებისა და სახიფათო ადგილების ნიშანდებისთვის გამოსაყენებელი ნიშნები

1. დაწესებულების განაშენიანებულ ზონებში არსებული ისეთი ადგილები, სადაც დაბრკოლებებთან შეჯახების, ჩავარდნის/დავარდნის ან გარკვეული საგნების ჩამოვარდნის საშიშროება არსებობს და რომელზეც დასაქმებულებს აქვთ შეხება სამუშაო დროის განმავლობაში, ნიშანდებული უნდა იყოს ყვითელი და შავი ან წითელი და თეთრი ზოლებით.
2. ნიშანდების ზომები უნდა იყოს კონკრეტული ბარიერის ან სახიფათო ადგილის მასშტაბების შესაბამისი.
3. ყვითელი და შავი ან წითელი და თეთრი ზოლების დახრის კუთხე უნდა შეადგენდეს დაახლოებით 45°-ს და უნდა იყოს მეტნაკლებად თანაბარი ზომის.

მაგალითი:



7. სამომხრამო მარშრუტების ნიშანდება

1. იატაკისა და მიწის ფერის გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში მოძრავი საშუალებებისათვის სამომხრამო მარშრუტები უნდა იყოს ნიშანდებული მკვეთრი ფერებითა (სასურველია თეთრი ან ყვითელი ფერის ზოლები) და უწყვეტი ზოლებით.
2. ზოლების განლაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო მანძილი, ერთი მხრივ, სატრანსპორტო საშუალებებსა და მათთან სიახლოვეს მყოფ საგნებს შორის და, მეორე მხრივ, სატრანსპორტო საშუალებებსა და ფეხით მოსიარულეებს შორის.
3. შენობების გარეთ, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მუდმივი სამომხრამო მარშრუტები უნდა იყოს ნიშანდებული (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი ზონები შესაბამისი ბარიერებით ან ტროტუარებითაა აღჭურვილი.

8. ნიშნებზე არსებული უსაფრთხოების ფერების განმარტება:

1. ნიშნებზე არსებული უსაფრთხოების ფერები განიმარტება მოცემული ცხრილით განსაზღვრული მნიშვნელობით და იძლევა ამავე ცხრილით განსაზღვრულ ინსტრუქციებსა და ინფორმაციას:

ფერი	მნიშვნელობა ან დანიშნულება	ინსტრუქციები და ინფორმაცია
წითელი	ამკრძალავი ნიშანი	სახიფათო ქცევა
	საფრთხე განგაში	გაჩერება, გათიშვა, მოწყობილობების საგანგებოდ გამორთვა, განგაშის სიგნალი
	ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა	იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობა

ყვითელი ან ნარინჯისფერი	გამაფრთხილებელი ნიშანი	ფრთხილად, მიიღეთ უსაფრთხოების ზომები, შეაფასეთ სიტუაცია
ლურჯი	სავალდებულო ნიშანი	სპეციფიკური ქცევა ან ქმედება; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება
მწვანე	საევაკუაციო გასასვლელი, პირველადი სამედიცინო დახმარების ნიშანი	კარები, გასასვლელები, მარშრუტები, აღჭურვილობა და სხვა საშუალებები
	საფრთხე არ არის	ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება